

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა რომანული ფილოლოგია

ფილია თამარი

ორი იბერია, ორი კულტურა

ნაშრომი შესრულებულია რომანული ფილოლოგიის  
(ესპანური ფილოლოგია)  
მაგისტრი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: მარინე კობეშავიძე  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

პირენეის ნახევარკუნძული ოდითგანვე დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით, რომელთაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იბერები და ბასკები იპყრობენ. სწორედ იბერების სახელწოდებიდან გამომდინარე დაერქვა ნახევარკუნძულს „იბერიის ნახევარკუნძული“, ხოლო, რაც შეეხება ბასკებს, ეს ერთადერთი ერია ვინც შეძლო და უამრავი სირთულის მიუხედავად არ გაქრა და დღემდე განაგრძობს არსებობას საკუთარი უნიკალური ენითა და კულტურით.

მსოფლიოში გარდა იბერიის ნახევარკუნძულისა არსებობს ასევე ქართლის იბერიაც, სადაც ჩვენი ქვეყანა, საქართველო, მდებარეობს.

წინამდებარე ნაშრომი, „ორი იბერია, ორი კულტურა“, სწორედ დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიას შორის არსებულ თანამიმართებებს ეხება. აქ ვეცნობით სხვადასხვა მეცნიერისა თუ მოღვაწის მოსაზრებებს, რაც განხილულ მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

## სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I	
ორი იბერია, ორი კულტურა.....	7
თავი II	
ორი იბერიის თანამიმართება.....	11
თავი III	
ბასკური ენა.....	23
თავი IV	
IV.I პორტუგალია.....	38
IV.II ღვინო, მუსიკა და “Saudades“.....	40
დასკვნა.....	41
გამოყენებული ლიტერატურა.....	43

## შესავალი

მიზეზი, თუ რატომ გადავწყვიტე ორი იბერიის პრობლემატიკის გარკვევა, გახდა დიდი ხნის ინტერესი ესპანური ენის, კულტურისა და ტრადიციების მიმართ. უკვე ღრმა ბავშვობიდან მიტაცებდა ეს ენა და ვეცნობოდი სხვადასხვა ცნობებს ხალხზე, კულტურასა და ზოგადად ქვეყანაზე. ასევე ჩემთვის ცნობილი იყო, რომ პირენეის ნახევარკუნძულს მეორენაირად იბერიის ნახევარკუნძულსაც უწოდებდნენ. სახელწოდება „იბერია“ კი საქართველოსთვისაც არ არის უცხო...

სკოლის პერიოდში კი ესპანეთის ღირსშესანიშნაობების თვალთვლისას აღმოვაჩინე, რომ კორდობის მეჩეთი - მესკიტა გაფორმებით თბილისში მდებარე ოპერისა და ბალეტის თეატრს ჰგავდა. აღმოჩნდა, რომ ორივე მათგანი არაბული არქიტექტურის გავლენით არის აგებული და რომ ისევე, როგორც საქართველოს, ესპანეთსაც მრავალი ხნის განმავლობაში უხდებოდა არაბთა შემოსევებისგან თავდაცვა. (იხ. დანართი 1)

ასევე შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემი გვარი- ფილია- ესპანეთშიც არსებობს და რომ ამ გვარის იქაური მატარებლები არ არიან ქართველები. როგორც აღმოჩნდა, (სხვადასხვა ესპანური წარმოშობის ფილიასთან საუბრის შემდეგ) ეს გვარი ესპანეთში, დიდი ალბათობით, ბერძნული სიტყვიდან “φιλία” უნდა მომდინარეობდეს, რაც სიყვარულს, მეგობრობას ნიშნავს. თუმცა იმავე სიტყვას ლათინურშიც ვხვდებით: filius; filia, რაც შვილს (ბიჭი, გოგო) ნიშნავს. ხოლო რაც შეეხება ფაქტს, თუ საიდან მოხვდა გვარი საქართველოში, აქაც დეტალური ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუმცა ცნობილია, რომ აფხაზური წარმოშობის უნდა იყოს. უკვე ამ საინტერესო ფაქტის აღმოჩენის შემდეგ გადავწყვიტე უფრო საფუძვლიანად შემესწავლა ესპანური და გავცნობოდი ფაქტებს ესპანეთის შესახებ.

ესპანეთი, როგორც ქვეყანა შეიქმნა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტომის აღრევისა და სხვადასხვა ერის კულტურის ურთიერთგავლენის შედეგად. პირენეის ნახევარკუნძული უძველესი დროიდან სხვადასხვა ტომებით იყო დასახლებული. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვით I ათასწლეულამდე აქ სახლობდა ტარტესთა ტომი, რომლის წარმომავლობაც დღემდე არ არის დაზუსტებული. ტარტესების გარდა პირენეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ სხვა ხალხებიც, რომელთაც ბერძნები იბერებს

უწოდებდნენ (ვარაუდობენ, რომ იბერები ჩრდილოეთ აფრიკიდან გადასახლდნენ ესპანეთში). ამ ტერმინით მოიხსენებდნენ მდინარე იბერის (იგივე ებროს) მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებული ხალხს.

კიდევ ერთი უძველესი ტომი, რომელიც სახლობდა და დღემდე სახლობს იბერიის ნახევარკუნძულზე არიან ბასკები. ეს ერთადერთი ერია, რომელმაც ურთულეს ისტორიულ პერიოდებში შეინარჩუნა საკუთარი ენა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და არ მოექცა არც „იბერიზაციის“ და არც „რომანიზაციის“ ქვეშ.

უკვე მრავალი წლის განმავლობაში ქართველი თუ არაქართველი მეცნიერები იკვლევენ ბასკების წარმოშობას, მათი ენისა და კულტურის თავისებურებებს. ამ პროცესში უამრავი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს, მაგალითად, მთელი რიგი მსგავსებები ქართველურ ენებთან, ასევე მსგავსებებია აღმოჩენილი ტრადიციებსა და ცხოვრების წესშიც. გამომდინარე აქედან გადავწყვიტე მეც შემესწავლა ეს საკითხი და გავცნობოდი იმ ვერსიებსა და მოსაზრებებს, რაც სხვადასხვა პერიოდში დადასტურდა ან გამოითქვა.

გარდა იმისა, რომ ნაშრომში შევხვდებით ცნობებს ბასკების შესახებ, მოყვანილი იქნება, ასევე, რამდენიმე ზოგადი ცნობა თავად ტერმინ „ბასკებზე“ და თუ როგორ მოიხსენებს ამ ენის მატარებელი ხალხი საკუთარ თავსა და საცხოვრებელ მიწას. დასავლეთ ევროპის ბასკებით დასახლებული ტერიტორია სამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად არის დაყოფილი. ორი მათგანი ბასკეთისა და ნავარას ავტონომიური რეგიონი- ესპანეთის შემადგენლობაშია. საფრანგეთის შემადგენლობაში შემავალი სამ პროვინცია კი არის ავტონომიური და აკვიტანიის რეგიონის შემადგენლობაშია. მკვლევართა მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოში 2,9 მილიონი ბასკია. მათი უმრავლესობა ესპანეთში, ხოლო რამდენიმე ათეული ათასი ბასკი საფრანგეთში ცხოვრობს.

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს შესავალს, ოთხ თავსა და დასკვნას. მას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსების სია. ასევე, ახლავს დანართი ფოტომასალის სახით.

ნაშრომის პირველ თავში გავცნობით ორი იბერიის არსებობის შესახებ ფაქტებსა და მათი სახელწოდების წარმომავლობის შესახებ გავრცელებულ სხვადასხვა

მოსაზრებას.

მეორე თავში კი უშუალოდ მათ მიმართებაზეა საუბარი და დაფიქსირებულია მთელი რიგი მოსაზრებებისა, რაც ადასტურებს, ან უარყოფს კავშირს ორ იბერიას შორის. ასევე აქვე შევხვდებით რამდენიმე ზოგად ცნობას თავად ტერმინ „ბასკებზე“ და თუ როგორ მოიხსენიებს ამ ენის მატარებელი ხალხი საკუთარ თავსა და საცხოვრებელ მიწას.

მესამე თავში საუბარია უშუალოდ ბასკებზე. მოყვანილია ფაქტები მათი წარმომავლობის შესახებ. ასევე, აქვე არის ჩართული ფაქტები დასაფლავების ტრადიციის შესახებ, მოთხრობილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთის მნიშვნელობაზე და რაც ყველაზე საინტერესოა, ვხვდებით სიტყვებს, რომლებსაც აშკარა კავშირი აქვს ქართველური წარმოშობის სიტყვებთან.

მეოთხე თავში, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული თემა ეხმაურება ორი იბერიის პრობლემატიკის საკითხს და არა მხოლოდ ესპანეთსა და საქართველოს შორის არსებულ კავშირს, ანდაც მხოლოდ ბასკების ქვეყანასა და საქართველოს შორის არსებულ კავშირს, მოყვანილია ცნობები პორტუგალიის შესახებაც- სახელმწიფო, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარეობს.

მეოთხე თავი ორ პატარა ქვეთავად არის დაყოფილი. პირველ ქვეთავში საუბარია პორტუგალიის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ, სადაც შეიმჩნევა ქართველურ ენასთან მსგავსი ასოთა კომბინაცია. მეორე ქვეთავში კი საუბარია ღვინოზე, მუსიკასა და პორტუგალიისთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან, მრავალი ცნების მომცველ სიტყვა „saudades-ზე“.

## თავი I

### ორი იბერია, ორი კულტურა

იბერია ან ივერია, იგივე ქართლი, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ძვ. წ. III- ახ. წ. VI საუკუნეებში არსებული ადრეფეოდალური მონარქიული სახელმწიფო იყო. მისი დედაქალაქი - არმაზი (მცხეთა), მოგვიანებით კი თბილისი გახდა. გავრცელებული ცნობით, სამეფო მცხეთის არისტოკრატმა ფარნავაზმა (ფარსმანი) დააარსა, რომელიც იყო პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში ქართლი ცნობილი იყო „იბერიად“. დასავლეთის წყაროებში, ამავე სახელწოდების იბერიის ნახევარკუნძულისგან განსასხვავებლად, ქართლი მოიხსენება, როგორც „აღმოსავლეთი იბერია“ ან „კავკასიის იბერია“.

ამ სახელწოდების ზუსტი წარმომავლობა და მნიშვნელობა ნათელი არ არის. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით:

*„ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. 1. საქართველო, 2. ივერია, 3. გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე, და სადა დაეშენა უწოდა სახელითა თვისითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ჯდომილთა მისთა უწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო: ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა. რამეთუ „იი“ არს შორის-ყრილი, რომელი არს სასიხარულო ჯმა ზახილისა. ხოლო „ვერიე“, მოვერიე. არამედ წყობისათჳს შეთხზულად, ივერია. რამეთუ ოდეს 10 მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ მეფე ქართლისა გოლიათობითა თჳსითა, მაშინ აღუტევა ჯმა სპათა მიმართ თჳსთა „იი, ვერიე“, და განხდა ჯმა ესე, და იტყოდინა ყოველნი, სიმკნისა მისისათჳს, ამის გამო იწოდა ივერია. არამედ წოდება სასიხარულოს ჯმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა. რამეთუ პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და მოასწავებდა ჯმა სახეებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფეველისასა. ხოლო „ვერიე“ მორევენასა კერპთა ზედა, ძალსა ჯვარისასა და ხსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა. კვალად გიორგიაცა მკნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის). კვალად, ვინაითგან იცნეს სამება ერთ-არსება ჭეშმარიტი ღმერთი წმინდა ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა. ამისთვის, მიერ ჟამითგან, ნიშანნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ მოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ, არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამას მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ*

გორჯიანსა და რუსნი გრუზსა, და მაჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორფოლრაფიის გამო. არამედ იგივე გიორგიავე არს.“

(„აღწერა საქართველოსა“ ვახუშტი ბატონიშვილი 1842 წელი. გვ. 52).

სხვა მოსაზრებით, ტერმინი „იბერია“ გაჩნდა უცხოენოვან (ბერძნულ– რომაულ) გარემოში, ელინისტურ ხანაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რომაული ნომენკლატურა, იმავე სახელს იყენებს პირენეის ნახევარკუნძულის აღსანიშნად. არსებობს მოსაზრება, რომ ეს სახელი რომაელებისთვის მარგინალური<sup>1</sup> ქვეყნების აღმნიშვნელია. ზოგი მას ქართულ „იმერს“ (იქითა მხარე) უკავშირებს და მიიჩნევს დასავლეთ საქართველოში ლიხსიქითა ან მესხეთის მთებში იქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად, ზოგი კი უკავშირებს ძვ. წ. V საუკუნის ბერძენ ავტორებთან დამოწმებულ სასპერების სახელს (მათი სახელი შემორჩა ისტორიულ სპერის ოლქს).

თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, სახელწოდება „ივერია“ ადერკი მეფემდე არსებობდა და შესაბამისად ვახუშტისეულ ჰოპოთეზას აქარწყლებს. მისი მოსაზრებით:

„ხოლო წოდება სახელისა ამის ივერია ანუ ივერო განიმარტების ესრეთ, ვინაჲდგან მდინარენი იგი დიდი-იორი და მცირე-იორი გამომდინარებენ დასაწყისსა შინა ერთისაგან სათავისა და შემდგომად განიყოფიან ორად, ამისთვის წყალთა მათ სახელ-ედვა იორი ანუ იორა, ესე იგი გაორდა ანუ ორი შეიქმნა; ვინაცა იორი ანუ იორა თქმად გარდაიქმნა იორიად ანუ ივერიად: და ამის ძლით მდინარეთა ამათ სახელი მოუღიეს ყოველსა სამზღვარსა სრულიად საქართველოდსა, გინა გიორგიისასა, კასპიის ზღვითგან ვიდრე შავს ზღვამდე, ყოველსა ზემოსა და ქვემოსა ივერიასა.“

(თეიმურაზ ბატონიშვილი, „დაწესებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოდსა“, გვ. 14-15)

ბიზანტიური ხანის (ახ. წ. IV-XV საუკუნეები) ბერძნულში თანხმოვანი ბ (β-ბეტა) თანდათან დაიკარგა და გამოთქმაში იგი დაემსგავსა ვ-ს (ქართულ ვინს)<sup>2</sup>.

შედეგად გვიანდელ ქართულ საისტორიო წყაროებში მკვიდრდება ბიზანტიური ბერძნულის გავლენით — „ივერია“.

დიმიტრი ბაქრაძის აზრით:

„ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ, რომ სულ ძველად ჩვენი ქვეყნის სახელწოდება იბერია არ იხმარებოდა არც უცხო ტომთაგან, არც ჩვენ წინაპართაგან. ის იხსენიება მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც რომაელები

<sup>1</sup> მარგინალური–საზღვრისპირა. რომაელთათვის კავკასიის იბერიაც და პირენეის ნახევარკუნძულიც, უკიდურესი პროვინციები იყო

<sup>2</sup> კუპრაშვილი ჰ., იბერია თუ ივერია?, გაზეთი „რეზონანსი“. #003, 2007 წლის 11 იანვარი



*შემოვიდნენ ჩვენ მხარეში მიტრიდატთან საბრძოლველად, საკუთრივ ამ დროიდან იხმარება ის საზოგადოდ როგორც რომაელებისგან, ასევე ბერძნებისაგან. სჩანსო, ამბობს ვივანე სენ-მარტენი, რომ რომაელებმა ჰპოვეს თვით იბერია საქართველოში და აქედამ გაავრცელეს იმის გარეთ.“*

*დ. ბაქრაძე "პონტის მეფე მიტრიდატ დიდი" გვ. 24. 1880 წ.*

თეიმურაზ ბატონიშვილს მოჰყავს ანტიოქიის პატრიარქ მელენტის სიტყვები:

*„მელენტი დიდი წმინდა პატრიარხი ანტიოხიისა სწერს თვისთა მოთხრობათა შინა მედასთენისა ისტორიისაგან მიმღები. „ნაბუქოდონოსორმით აჰყარნაო ერნი სპანიით და გარდმოსახლაო ივერიასა შინა, ესე იგი საქართველოდ; ხოლო ივერიით აჰყარაო და გარდასახლაო სპანიად“. სწერს გადმოსახლებასა ივერიად, გარნა არა რაიმესა იტყვის ივერიად წოდებისათვის, მაგრამ მრავალნი მომთხრობნი ივერიისათვის არა შეიწყნარებენ ამას.“*

*(თეიმურაზ ბატონიშვილი, „დაწყებითი ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა“; გვ. 13)*

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასევე არსებობს იბერიის ნახევარკუნძული, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს უძველესი ტომის „იბერების“ სახელწოდებიდან. იბერების (ბერძნ. Ibēres, ლათ. Hiberi, Hiberes) შესახებ ვარაუდობენ, რომ ჩრდილო აფრიკული წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ და თავდაპირველად სამხრეთ და აღმოსავლეთ ესპანეთის ტერიტორიაზე, მდინარე იბერის (იგივე ებროს) მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი (ძვ. წ. VII-III სს.), მთელს პირენეის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ.

მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ ისევე როგორც კავკასიური იბერიული ენა, ისიც არ ერთიანდება არცერთ ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

სახელწოდება „იბერები“ პირველად გვხვდება ბერძნულ დოკუმენტებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში. თანამედროვე მოსაზრებების მიხედვით, იბერებმა ჩრდილო აფრიკიდან გადმოსახლების შემდეგ, ახლანდელი ესპანეთის, სამხრეთ საფრანგეთის, იტალიის ჩრდილო ნაწილი, კორსიკა, სიცილია და სარდინია დაიკავეს და შექმნეს საკუთარი იმპერია. ეს პერიოდი ისტორიაში „იბერიზაციის“ სახელით არის შესული: როცა გავრცელდა იბერების კულტურა, ენა, წეს-ჩვეულებები... იბერიზაცია არ შეეხო პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც ცხოვრობდა უძველესი ბასკების ტომი. ბასკები (ვასკონები) უძველეს აქვიტანთა მონათესავე ტომებს ეკუთვნოდნენ, თუმცა მათ შორის კავშირი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. მნიშვნელოვანია ბასკების კულტურა იმით, რომ სწორედ

მაშინ, როდესაც პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობა ლათინურ ენას ითვისებდა (იგულისხმება რომანიზაციის პერიოდი) და ივიწყებდა პირველად ენას, ერთადერთი რეგიონი, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი ენა, სწორედ „ბასკების ქვეყანა“ იყო.

რაც შეეხება ბასკური ენის წარმოშობას, არსებობს ორი მოსაზრება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბასკური აფრიკული წარმოშობის არის და აქვს რიგი მსგავსებები ქამიტურ ენებთან. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ბასკურს მჭიდრო კავშირი აქვს კავკასიურ ენებთან და რომ ისინი საერთო წარმომავლობის არიან. ასეობს კიდევ ერთი ვერსია, რომ ბასკური ენა არის შერეული ენა, იგი წარმოშობითა და საწყისი ფორმებით კავკასიური ენების მონათესავე ენაა, ხოლო შემდგომ მიიღო უამრავი ქამიტური ელემენტი და განიცადა კელტურისა და პრეკელტურის გავლენა. საბოლოოდ კი დაემატა ლათინიზმებიც.

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სიმწირის გამო, რთულია საბოლოო დასკვნების გამოტანა. ბასკური ენის შინაგანი ევოლუციის ეტაპები მაინც უცნობი რჩება და ჩვენ მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებების განხილვის საშუალება გვქვია. მიუხედავად ამ ფაქტისა, მაინც საყურადღებოა ორი იბერიის არსებობის შესახებ ფაქტი და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერიის თანამიმართების განხილვა და აღმოჩენა.

## თავი II

### ორი იბერიის თანამიმართება

აღმოსავლეთ და დასავლეთ იბერიას შორის თანამიმართებაზე ჰიპოთეზები ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვით IV - II საუკუნეებში გამოითქვა და იგი ამ დროისათვისაც ჯერ კიდევ სადავოა. მეცნიერების ყურადღებას ძირითადად პირენეის ნახევარკუნძულის უძველესი ტომი ბასკები იბყრობდნენ.

დღეს ესპანურ, და არა მხოლოდ ესპანურ, ენაში ბასკების მოსახსენებლად გამოიყენება სიტყვა **VASCO** - „ბასკო“, რაც ლათინური *uasco*-დან მოდის (რომელიც, დროთა განმავლობაში გადასხვაფერდა → **Uascon** → **Vascon** → **Vasco** / **Wasko**/ ლაბიალურ-ველარული /w/ - გადავიდა ბილაბიალურ /b/ -ში და /β/ -ში ესპანურში). ლათინური წარმოშობის **Vasco**, ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ლათინური *boscus* ან *buscus*-დან მოდის, რაც „ტყეს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე ბასკები- ტყეში მცხოვრებ ხალხს ნიშნავს. ირონიულად, სიტყვა *boscus*- ტყე ლათინურ ენაში შუა საუკუნეებით თარიღდება და სავარაუდოდ გერმანიკული წარმომავლობის **Busk** → **Bosk** → **Arbustus**- დან მოდის.

მეორე მოსაზრების მიხედვით, **Vasco** ტერმინ **Basoko** - დან მოდის და ბასკურ ენაში **Baso** - ტყეს ნიშნავს, დაბოლოება „-ko“ კი, წარმომავლობას („-დან“) ნიშნავს, ანუ „ტყიდან“.

სიტყვას საიდუმლოებას მატებს ის ფაქტიც, რომ ქრისტეს შობამდე I-II საუკუნეებში ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში რამდენიმე მონეტა აღმოაჩინეს, რომლებზეც იბერიული ანბანით ეწერა სიტყვა „ბარსკუნეს“. ამ სიტყვის წარმომავლობის საკითხიც უცნობია და სავარაუდოდ ბასკური, მეზობელი კელტური ან იბერიულია.

დღესდღეობით გავრცელებული ინფორმაციით, ლათინური **Vasco** ბასკურ-აქვიტანური ფუმიდან **“eusk”** მოდის, რაც საკმაოდ ჰგავს გავრცელებულ ფორმას და მას ადგილობრივები იყენებდნენ საკუთარი თავის აღსანიშნად. იგივე ფორმა - **“eusk”**- იკითხება ასევე სახელწოდება **“Ausci”**-ში, რასაც იბერიელები აქვიტანური ტომის მოსახსენებლად იყენებდნენ.

ტრადიციულად ბასკეთის ქვეყანაში - ეუსკადიში ადგილობრივები მოიხსენებიან როგორც ეუსკალდუნ - მხ.რიცხვში ხოლო „ეუსკალდუნაკ“- მრ.რიცხვში. სადაც ეუსკარა-

ბასკურ ენას ნიშნავს, ხოლო სუფიქსი „-დუნ“ მფლობელს, სიტყვა-სიტყვით: „ბასკური ენის მფლობელი“.

ეს არის ერთადერთი ტომი, რომელიც არ არის ევროპელთა მოდემის, ისინი დღეისათვისაც ბინადრობენ იბერიის ანუ პირენეს ნახევარკუნძულზე. ისტორიულად ცნობილია, რომ იბერიის ძლიერი სახელმწიფო, რომლის აყვავების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე, II საუკუნეში რომაელებმა დაიპყრეს. შესაბამისად დაიწყო იბერიის რომანიზაცია, რამაც გამოიწვია ძველი იბერიული კულტურის სრული გადაშენება. მათი ენის ამსახველი ძეგლები არ შემორჩა. ამ პროცესს მხოლოდ ბასკთა ტომი გადაურჩა, რომელმაც დღემდე შემოინახა ენა, ადათ-წესები, ანთროპოლოგიური სახე. სწორედ ეს შემონახული ადათ-წესები და ჩვეულებები იქცევს და იქცევდა სხვადასხვა ხალხის ყურადღებას, რადგან უამრავი მსგავსებაა აღმოჩენილი მათსა და ქართველურ ადათ-წესებს შორის.

ამრიგად, ქართულ-ბასკური ნათესაობის საკითხები დიდი ხანია აინტერესებთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ლინგვისტებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს, ანთროპოლოგებსა და მეცნიერების სხვა დარგთა წარმომადგენლებს. უნდა აღინიშნოს, რომ IV საუკუნის უდიდესი ქრისტიანი მოღვაწე ბასილი დიდი თავის ნაშრომში მოიხსენებს დასავლეთ იბერიას. ნაშრომის ლათინურ თარგმანში დასავლეთ იბერია მოხსენებულია - ესპანეთად, ხოლო გიორგი მთაწმინდელის ქართულ თარგმანში კი დასავლეთის საქართველოდ. ასე, რომ ქართულ წყაროებში დასავლეთ იბერია პირველად მოიხსენება ამ ნაშრომში. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ შორეულ ისტორიულ პერიოდშიც აღიარებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ იბერების ნათესაობას.

ბასკურ-ქართული ურთიერთობების პრობლემის კვლევაში, ცნობილი ბასკოლოგების შ. ძიძიგურის და ი. ტაბაღუას ნაშრომები გვეხმარება:

„ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი პირენეს ნახევარკუნძულის მკვიდრთა და ქართველთა ეთნიკურ ლინგვისტური მიმართების თაობაზე. ამ საკითხზე მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ანტიკური ხანის ავტორებს, ევროპის მეცნიერებსა და საბჭოთა მკვლევარებს. ეს პრობლემა იდგა ძველ საქართველოშიც და, როგორც ჩანს, იმდროინდელ მოწინავე მოღვაწეებს ნაბიჯებიც

გადაუდგამთ "ევროპელ ქართველებთან" კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად" - წერს აკადემიკოსი შოთა ძიძიგური.

აკად. შ. ძიძიგური წერს, რომ X საუკუნის სახელგანთქმულ მწიგნობარს იოანე მთაწმინდელს, გამოჩენილი ქართველი ლიტერატორის გიორგი მთაწმინდელის ცნობით (ნაგულისხმებია „იოანეს და ექვთიმეს“ ცხოვრება, რომელიც 1042-44 წლებშია დაწერილი) ექსპედიცია მოუწყვია ესპანეთში გასამგზავრებლად, რათა მოენახულებინა ქართველთა ნათესავნი: *„განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაითა აღილოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ. და ამის პირისათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაითა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ...“*

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი საქართველოში ყოფნისას ნადიმზე მიიწვიეს მეფესთან. *„გამომშვიდობებისას, - წერს შარდენი, - მან მკითხა, როგორ ბრძანდებო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო. მან მოისურვა კაპუცინებსა და მეც ამ მდიდრულ სასმისით შეგვესვა ეს სადღეგრძელო“. თავის მხრივ ჟან შარდენი დასძენს, ევროპაში ეს ამბავი მასაც ხშირად ჰქონდა მოსმენილი. „...დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან“.*

რაც შეეხება XVIII საუკუნის წერილობით წყაროს, ეს არის ცნობები ტიმოთე გაბაშვილის ათონის მთაზე მოგზაურობის შესახებ და მისი შეხვედრა ათონის მთის აკადემიის რექტორთან ევგენი ბულგარისთან. ტიმოთეს თხზულებაში მოცემული ცნობები მრავალმხრივ საინტერესოა. იგი წარმოადგენს ორი ფილოსოფოსისა და ღვთის მეტყველებაში განსწავლული ადამიანის ნააზრევს. საყურადღებოა ეს ფაქტი იმითაც, რომ ტიმოთეს მიხედვით ქართველი და შპანიელი სინონიმებია. თხზულების ავტორს კარგად სცოდნია წინა საუკუნეებში გავრცელებული აზრი ქართველთა და ესპანალთა ნათესაობის შესახებ:

*„...კვითხვდი ევგენიოს. ხოლო იგი განგვიმარტებდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და*

დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი ენაცვლებიან“.

აკად. ნ. მარმა სამეცნიერო მივლინებით კარგა ხანი დაჰყო საფრანგეთის ბასკებში და 1927 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის V ტომში გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი "Из Пиринейской Гурии".

როგორც ცნობილია ქართველური ტომები ლითონის დამუშავების პიონერები იყვნენ. შესაბამისად ნ. მარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართველურ-კავკასიური მოდემის ხალხმა შეაღწია პირინეის ნახევარკუნძულზე ლითონის მოპოვებისა და დამუშავების საქმეების მიზნით. აღნიშნული მოსაზრებას ეჭმიუტანლად ეხმაურება არქეოლოგიური მონაპოვარი. კერძოდ კი 1965 წელს არქეოლოგმა ფუსტემ 5000 წლის წინანდელი სპილენძის საბადო გათხარა, სადაც აღმოაჩინა ზვავის შედეგად დაღუპული ადამიანების ჩონჩხები. ფუსტეს დასკვნით, აღნიშნული ჩონჩხების თავის ქალები წარმოადგენდნენ ე.წ. კავკასოიდურ გვიანდელ რასას.

პროფ. ი. ტაბალუა წერდა: „განმაცვიფრა საქართველოსთან მსგავსებამ: ყველაფერი მაგონებდა საქართველოს, კერძოდ, გურიას. საჭმლის კეთება ჩვენებურად იციან“. ეს მან საფრანგეთის ბასკეთში ყოფნის დროს, თავის ერთ-ერთ სტატიაში დაწერა. ის აღნიშნავს, რომ მათ სახლებში ფართო კერიაა, რომელიც ქართულს მოგვაგონებს. ცეცხლის თავზე ქვაბი გრძელ ჯაჭვზეა ჩამოკიდებული და ბასკურად მას ეწოდება „ლაცა“, მეგრულად - „ლარჭა“. სვანურად - „ნაცა“.

ბასკეთში გვხვდება კაფე-რესტორნები, წარწერით „გურია“, რაც ქართველის ყურადღებას იქცევს. თუმცა ამ სახელწოდებას არაფერი აქვს საერთო ჩვენს გურიასთან („გურია“ ბასკურად ნიშნავს: „ჩვენთან“). (იხ.დანართი 2)

პროფ. ირ. მიქელაძე მოგვითხრობს, რომ ბაიონის „ეთნოგრაფიულ მუზეუმში ცოტა რამ საერთო როდი იგრძნობა გურიისა და აჭარის სოფლის ყოფასთან: დაახლოებით იგივე აკვანი, შუაცეცხლი, ურემი, სამთო მარხილი, საოჯახო დანიშნულების მრავალი საგანი და სხვა მოწყობილობა... ბასკების ცეკვამ ძალიან მოგვაგონა ჩვენებური, განსაკუთრებით ხორუმი“.

მარტინა მინტეგი ბილბაო წიგნში „ჩემი ბასკეთი“ მიუთითებს, რომ სადილს ბასკი

ულვინოდ არ მიირთმევს, სახარჯოდ თხელი ღვინო აქვს, გურულ იზაბელას ჩამოგავს. კერძებში ბევრი პილპილი და მწვანელი იციანო. მიხრა-მოხრა ქართველისებურია.

ბასკონიის ქალაქ სან-სებასტიანში გამართული, მსოფლიო კინოფესტივალის მონაწილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა-სოფიკო ჭიაურელმა თქვა, რომ ფესტივალის დღეებში აკვირდებოდა ბასკებს: „საერთოდ დიდი მსგავსება დავინახე გარეგნობაში, საქციელში, ტემპერამენტში. ისინიც ჩვენსავით გულღია, მოსიყვარულე, გულთბილი, სტუმართმოყვარე ხალხია“. აქვე ნიკო მარის სიტყვების მოყვანაც შეიძლება: „სიმღერებიც ქართულ მოტივებს შეიცავენ“. მართლაც, ბასკური პოლიფონიური სიმღერის მოსმენისთანავე, გახსენდება ქართული ხალხური სიმღერები, ხოლო სოლო სიმღერის მოსმენისას, მაგალითად, როგორც არის სიმღერა „Baldorba“, გონებაში მაშინვე ქართული „ქალაქური“ სიმღერა ამოტივტივდება.

ჟურნალისტმა ა. კიკნაძემ ექსპერიმენტი ჩაატარა: „ცალკე ფურცლებზე ამოვწერე ძველი წიგნებიდან აღებული ბასკების დახასიათება. ამონაწერები მოგვითხრობდნენ ბასკების ზნე-ჩვეულებებს, ღვინის დაყენების დიდ უნარს, მისი დაღვევის არანაკლებ ხელოვნებას, ბასკების სუფრის რიტუალს. შემდეგ ეს ამონაწერები წავუკითხე საქართველოში ცნობილ სამ ადამიანს - ისტორიკოსს, მწერალსა და ჟურნალისტს, ოღონდ არ მითქვამს, რომ ლაპარაკია ბასკებზე. სამივე დარწმუნებული იყო, რომ ეს ქართველების დახასიათებაა, და გაოცდნენ, ასეთი აღწერილობა ადრე რატომ არ გვსმენიაო“.

ა. კიკნაძე ამავე სტატიაში აღნიშნავს ბასკების ბურთის თამაშის სიყვარულის შესახებ. აქვე ნიკო მარის სიტყვების მოშველიება შეიძლება, სადაც მსგავსი აზრია დაფიქსირებული: „„ბურთი“ - ეს წმინდა საგანია; ბურთის თამაში კულტის გადმონაშთია, როგორც უნდა იყოს თამაშის ტექნიკა, იქნება ეს მოთამაშის წინაშე საგანგებოდ აღმართული მაღალი კედელი, როგორც ბასკებს აქვთ. ან მეზრძოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბურთის ბოლომდე გატანაში. ამასთან, მიღწევას აგვირგვინებენ გამარჯვების ყიჟინით „ლელო (LELO)“<sup>3</sup>, რაც საკუთრივ, ღვთაების სახელი უნდა იყოს, გავკადნიერდები და ვიტყვი, სწორედ იმ ღვთაებისა, რომელმაც თავისი სახელი ლელო

<sup>3</sup> ლელო – სპორტის სახეობა, რაგბის ქართული წინამორბედი. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სპორტის უძველესი ეროვნული სახეობა, გუნდური თამაში ბურთით.

დაგვიტოვა ბასკური ეპოსის ერთ-ერთ შემონახულ ფრაგმენტში: ეს ფრაგმენტი რომის იმპერატორ ოქტავიანესთან ბრძოლის შესახებ იწყება სწორედ ამ ოთხტაეპოვანი ლექსით „ლელო! ილ ლელო!“ და ა.შ. ...ყოველივე ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, როცა ლაპარაკია ისეთ ქვეყანაზე - ბასკონიაზე, სადაც ბურთის თამაში - „ღვთაებრივი თამაში“ უკვდავ კულტად არის გადაქცეული და ოდესღაც თვით ბასკების ბურთის თამაში იყო“.

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მე-19 საუკუნის, წარმოშობით ბასკი პოეტის, რაფაელ გაბრიელ ხუან მუხიკა სელაია ლესეტას, ნაშრომები. იგი გიპუსკოაში, ქალაქ ჰერნანიში დაიბადა და მისი ლექსებიდან თუ ვიმსჯელებთ, სადაც არაერთხელ ახსენებდა საქართველოს, ბასკეთსა და კრეტას, ჩანს, რომ მუდამ აწუხებდა თავისი წინაპრების წარმომავლობის საკითხი. მის ნაშრომებში „Cantata de Isla“, „Rapsodia Euskara“ ვკითხულობთ:

*“Me lo pregunto a veces, ¿No serás solo un sueño*

*O un recuerdo de vasco perdido en el tiempo?*

*Carretas de Georgia crujiendo en las rutas*

*De países extraños que cruzamos llorando*

*Los vasco- cretenses con nuestros recuerdos...”*

ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები სიზმარში,

ანდაც დროში დაკარგული ბასკური მოგონება ხომ არ ხარ?

საქართველოდან ჭრიალ-ჭრიალით,

უცხო ქვეყნების ბილიკებს,

ტირილითა და ჩვენი მოგონებებით

ვკვეთთ ბასკი-კრეტელები...<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> თარგმანი: მ.ტიტვინიძე, თ.ფილია



მას არაერთხელ უხსენებია, რომ ბასკები ღრმად ინახავდნენ საუკუნეებსა და ფერწასულ დიდ ისტორიას. მის ნაშრომებში ხშირად ვხედავთ კითხვებს: ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? როგორ და რატომ დავსახლდით ეუსკადიში?... ის ამბობს, რომ ბასკები არა ადგილობრივები, არამედ უბრალოდ ემიგრანტები არიან...

*“No recordamos nada,*

*Todo fue tan terrible,*

*Nadie nos conoce, ¿Quiénes somos,*

*Extraños, solitarios,*

*Nosotros, a los que llaman vascos?”*

მნიშვნელოვანია ბოლო სტრიქონებში გამოთქმული სიტყვები, სადაც ავტორი კითხვას სვამს: „ვინ ვართ, უცხოები, მარტოსულები, ჩვენ ვისაც ბასკებს გვიწოდებენ. ჩანს, რომ ისინი არ არიან „ბასკები“, რომ ისინი ნამდვილად სხვა ქვეყნიდან მოსული ხალხია და მათ სხვებმა შეარქვეს სახელი. ისინი უბრალო ემიგრანტები არიან, მაგრამ ერთი რამ ცნობილია ყველა ბასკისთვის, რომ ისინი საქართველოდან მოდიან, ამაზე მეტყველებს ადათ-წესები, ჩვეულებები, რწმენა, მითების მსგავსება და რაც მთავარია ენების ნათესაობა, რომელთაც ინდოევროპულ ენებთან საერთო არაფერი აქვთ. იმასაც ამბობს, რომ ბასკები ებრაელების მსგავსად დევნილი ხალხია და ამიტომაცაა, რომ ასე იცავენ და უფრთხილდებიან საკუთარ თვითმყოფადობას, როგორც რაიმე რელიქვიას.

*„¿Qué recuerdan los vascos de su primer origen,*

*O no recuerdan nada y aún viven como en sueños*

*Un pasado que sigue sin terminar en ellos?*

*¿Dónde están? ¿Son reales aunque no comprendamos.*

*Nada de lo que dicen estos seres remotos,*

*Que nos miran a veces como si no nos vieran*

*O bien, como llegados desde algún mundo arcaico*

*Que debió de existir más ya no recordamos?*

*¿Quiénes son? ¿Quiénes somos?, preguntaría ellos,*

*Orgullosos, altivos, tan raros que aún tranquilos*

*Espantan porque tienen algo de amenazante*

*Aunque no son guerreros ni pecan de agresivos.” [G.Celaya, “ Cantata de Mari”]*

რა ახსოვთ ბასკებს საკუთარი წარმომავლობის?

ეგებ არ ახსოვთ სულ არაფერი და ოდენ სიზმრებში

აგრძელებენ იმ ძველ ცხოვრებას დასარული რომ აღარ უჩანს.

სად არიან? ნუთუ სინამდვილეში არიან, მიუხედავად იმისა, რომ არ გვესმის

ან რას ამბობენ ეს შორეული არსებები

ჩვენ რომ გვიცქერენ თითქოსდა არ ვარსებობდეთ

ანდაც, გვხედავენ, როგორც არქაული სამყაროდან მოსულებს

რომელსაც უნდა ეარსება მაგრამ არ გვახსოვს?

ვინ არიან? ვინ ვართ? ისმის კითხვები

ასე ამაყნი, ქედუხრელნი და თანაც მშვიდნი,

თითქოს მუქარით მომზირალნი, მაგრამ შიშის მომგვრელნი,

თუმცა კი არ უნდა იყვნენ მეზრდოლნი, დავდამსხმელები.<sup>5</sup>

დიდ ყურადღებას იპყრობს მისი სიტყვები: “Recuerda Georgia y Creta porque de allí vinimos” (Cantata de Mari), სადაც გადაჭრით, პირდაპირ ამბობს, რომ ბასკები საქართველოდან წასული ხალხია.

---

<sup>5</sup> თარგმანი: მ.ტიტვინიე, თ.ფილია

საყურადღებოა ასევე მისი ნაწარმოები "Iberia Sumergida" (ჩაძირული იბერია), რადგან, აქაც, წარმომავლობაზე და ბასკებისთვის უცხო ადგილად დასახლების შესახებ საუბრისას ავტორი ამბობს:

*"Desde un lugar olvidado, quizá cerca de Armenia,*

*Navegando por el mar donde los dioses se asaltan*

*O se aman, y se olvidan, y sonríen ausentes*

*-Mare Nostrum, Mar de ellos-*

*Nuestras itsasuntzi<sup>6</sup> llegaron a esta ibar<sup>7</sup> que llamamos Iberia,*

*Y nosotros, eusko-iberos, dejamos de ser ibiles<sup>8</sup> y añoramos la tierra."*

სადაც, კიდევ ერთხელ, უსვამს ხაზს ბასკების იბერიის ნახევარკუნძულზე დასახლების ფაქტს და ამბობს, რომ ისინი სადღაც სომხეთთან ახლოს მდებარე ქვეყნიდან წამოვიდნენ.

ბასკების ენის გაგება სხვებისთვის რთულია, ანდაც, როგორ იქნება ადვილი, როცა საკუთარ დედას მოსწყვიტეს და ენაც მოგლიჯეს? სელაიას აინტერესებს ეუსკადის ნაღვლიანობის მიზეზი, აინტერესებს რატომ არ შრება მათ თვალზე ცრემლი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ პოეტი მტკიცედ ემხრობა ბასკების ჩამოსახლების თეორიას.

*¿Por qué es tan triste Euskadi?*

*¿Por qué, Madre, llora siempre?*

*Ni tú sabes en que hondura reside tu secreto,*

*Recogida en ti misma, recogíendome en ti.*

*Solo sabes llorar, solo sabes decir*

---

<sup>6</sup> ნავი, გემი.

<sup>7</sup> სანაპირო, ნაპირი

<sup>8</sup> მეზღვაურები

*Algo que las palabras luego borrarán.*

*¿No lo han borrado ya? No, no, nunca lo harán.*

*Todos lloramos, Madre, como tú, con piedad*

*Por algo que nos falta desde que nacimos*

*Y que ni siquiera sabemos nombrar. "[G.Celaya, "Ixil"]*

ბასკები ავტოქტონები არ ვართ, არამედ უბრალოდ ემიგრანტები გახლავართ. მაგრამ, იმდენად შორეული დროიდან მოვდივართ, რომ შესაძლოა ახლებიც კი ვეგონოთ. ამ აზრს იმეორებს გაბრიელ სელაია თავის სხვადასხვა ნაწარმოებში რაც ნამდვილად ცხადყოფს ბასკების წარმომავლობის საკითხის სიძნელეს. "Obertura" ში ვკითხულობთ:

*"Cuando los vascos luchan, heridos, a lo Ibero*

*Contra los invasores guerreros y brutales*

*¿Quién dicen que quieren vivir tranquilos siendo*

*Lo que siempre fueron? Nosotros, los que odiamos*

*La guerra y los grotescos y efímeros emperios".*

ბასკებს სძაგთ ომი, სურთ მშვიდად ცხოვრება. ნუთუ ეს სიტყვები იმის მანიშნებელია, რომ ბასკები ბუნებით მეომარი და აგრესიული ხალხი არ არის? ნუთუ მხოლოდ თავის გადარჩენის მიზნით ომობენ? შესაძლოა თუ არა, რომ ამ სიტყვებზე დაყრდნობით, ვივარაუდოთ თითქოსდა ბასკები საქართველოში შექმნილმა რთულმა ვითარებამ აიძულა, სიმშვიდის ძიებით, გამგზავრებულიყვნენ შორეულ მხარეებში?

მათ ჯერ კიდევ ჰომეროსი, ვირგილიუსი, აპოლონიოს როდოსელი, ჰეროდოტე, ჰეკატეოს მილეტელი, ქსენოფონტე, სტრაბონი და ძველი სამყაროს სხვა მრავალი პოეტი თუ ისტორიკოსი მოიხსენებდა. პირველი წერილობითი ცნობა, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე ბინადრობდნენ იბერები - ანუ ხმელთაშუა ზღვის არეალში მცხოვრებ ხალხთა ერთ-ერთი განშტოება - ეკუთვნის ძველ ბერძენ ავტორს - ჰეკატეოს

მილეტელს (ძვ. VI ს). ბერძნები და რომაელები მათ იბერებს Iberi, Hiberi უწოდებდნენ. და არაერთი მეცნიერი მათ სწორედ ამ იბერთა შთამომავლებად მიიჩნევს. ისტორიული ფაქტები- პირენეის ნახევარკუნძულის მრავალგზის დალაშქვრა დაპყრობის შესახებ, სადაც ნახსენებია, თუ, როგორ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილობრივი მკვიდრნი- იბერები, სხვადასხვა დამპყრობელს, მრავალ მეცნიერს აფიქრებინებს, რომ სწორედ ეს ძლიერი იბერები იყვნენ ისინი, რომლებმაც თავის გადასარჩენად მაღალმთიან რეგიონებს შეაფარა თავი და ქვეყნის ჩრდილოეთით დასახლდა.

დღემდე საკამათოა ეს საკითხი, თუ მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის რომ, ბასკები პირენეის ენეოლითური ხანის მოსახლეობის შთამომავლები უნდა იყვნენ, მეორე ნაწილი ბასკების წინაპრების აღმოსავლეთიდან მიგრაციის თეორიას ემხრობა. ანუ მათი კავკასიური წარმომავლობის საკითხს. (ვარონი, პლინიუს დიდი, პრისციანე, მაქსიმე აღმსარებელი, ბოდრიმონი, გიორგი მთაწმინდელი, ნიკო მარი და სხვა). არის მეცნიერთა ნაწილი, რომელთაც, პირიქით, ჰგონიათ, რომ თითქოს კავკასიელი იბერები არიან პირენეის ნახევარკუნძულიდან წამოსული ხალხი (ევსევი ქსანთოპულოსი, სოკრატე სქოლასტიკოსი, სტრაბონი, მეგასთენე...) ზოგიერთი საერთოდ უარყოფს მათი ნათესაობის საკითხს.

ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს ევსევი კესარიელის ერთი ციტატა- *„მეგასთენე ამბობს, რომ ნახუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მას შემდეგ, რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა, ერთი წილი მათგანი გადაასახლა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე.“* ე.ი. ჩვ.წ. III საუკუნის ავტორი გვამცნობს შორეული სამხრეთიდან იბერთა გადმოსახლების ამბავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისთვის უკვე არსებობდა გადმოცემა ადრინდელი ეთნიკური გადაადგილებების შესახებ, ხოლო მეგასთენეს ეს ცნობა უფრო ადრინდელი დროიდან უნდა ჰქონოდა აღებული ი.ჯავახიშვილს. ხოლო მას შემდეგ, რაც იბერიელთა სამყაროში კელტები შეიჭრნენ და შეერწყნენ ადგილობრივებს, ახალი ეთნიკური სახეობა - კელტიბერები წარმოიქმნა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ექვთიმე მთაწმინდელი პირენეის კელტიბერებს „ქართველნი დასავლეთისანის“ უწოდებს, ანდაც „შპანიის ქართველნი“. აქვე გავმეორდები და ვახსენებ, რომ უმნიშვნელოვანესია ქართველი მოღვაწეების სურვილი-

„დასავლეთის ქართველების“ მონახულებისა. (გ.მთაწმინდელის თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“).

ასევე საინტერესოა XX საუკუნის ლინგვისტური მეცნიერების დიდი ავტორიტეტის, რომანული ენების მკვლევარის, გრაცის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ჰუგო შუსარდტის აზრი, რომ ბასკური არსებითად იბერიულის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენს.

დაბეჯითებით მნელია იმის დამტკიცება იცნობდა თუ არა გაბრიელ სელაია ამ მეცნიერების ნაშრომებს, მოსაზრებებს, ანდაც ყველა მითსა თუ ლეგენდას, მაგრამ მისი შემოქმედებიდან ნათლად შეიძლება იმის დანახვა, რომ პოეტს ბევრი ჰქონდა ნაკითხიც და ნაფიქრიც ამ საკითხის გარშემო. თავად აღიარებდა ამ „საიდუმლოს“ გადაჭრის სიმძნელეს და მეტის თქმა აღარ შეეძლო. ამბობდა, რომ მისი სიტყვები უფრო მისთვის ნაცნობ ლეგენდებსა და მითებს ეყრდნობოდა, მათში ხედავდა შთაგონების წყაროს. იმედად იტოვებდა, რომ სხვა მეცნიერების, საკუთარი ნააზრევისა და მომავალი მოაზროვნების დახმარებით გადაიჭრებოდა და ამოიხსნებოდა ბასკების იდუმალება.

## თავი III

### ბასკური ენა

"ჩვენი და ბასკების" პრობლემა, კერძოდ კი აზრთა სხვადასხვაობა სადაურობისა და ურთიერთმიმართების საკითხში ნათლად ჩანს, ასევე, მეორე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს დასკვნაშიც: „*იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი მოახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლებად*“.

სოკრატე წერდა:

*„ევქსინის პონტოსთან (შავ ზღვასთან) მცხოვრები ეს იბერიელები გამოსული არიან იმ იბერიელთაგან, რომლებიც ესპანეთში იმყოფებიან“*. პირველ საუკუნეში მცხოვრები ვარონი ფიქრობდა, თითქოს პირინეელი იბერიელები საქართველოდან არიან გადასახლებული დასავლეთში. ამავე აზრის ყოფილა ბიზანტიელი მწერალი მაქსიმე აღმსარებელიც.

XVI საუკუნის გერმანელი დიპლომატიური მოღვაწე ს. შვაიგერი (1551-1622 წ.) ფიქრობდა, რომ ქართველები ესპანეთიდან გადასახლდნენ საქართველოში. 1606 წელს ნიურნბერგში გამოქვეყნებულ წიგნში „ახალი ჩანაწერები მოგზაურობისა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმამდე“ შვაიგერი გამოთვამს მოსაზრებას, რომ ქართველთა სახელწოდება ესპანეთის მდინარე იბეროდან (ებროდან) წარმოდგება, რომ ქართველები ოდითგანვე ამ მდინარის ნაპირას ბინადრობდნენ, ხოლო შემდგომ, როცა გამრავლდნენ, საქართველოში გადასახლდნენ. (ისეთი ვერსიაც გამოჩნდა, მარტო საქართველოში კი არა, თითქოსდა, ბრიტანეთის კუნძულებზედაც წასულიყვნენ ესპანეთის იბერიიდან).

ინგლისელი ისტორიკოსი ა. მორტონი თავის კაპიტალურ ნაშრომში „ინგლისის ისტორია“ (1948 წ. ლონდონი) ახსენებს იბერიელებს, როგორც დიდი ბრიტანეთის კუნძულების პირველ მერცხლებს და აღნიშნავს, რომ ისინი მოვიდნენ ესპანეთის იბერიიდან ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ლ. ბახტრიონელი, ინგლისური ივერიადა, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1975 წ.) ამასთან ერთად, შვაიგერი არც სხვათა მოსაზრებას უვლის გვერდს იმის შესახებ, რომ თითქოს ესპანელებიც იბერიელებისგან არიან წარმოშობილი.

ფრანგი ა. ბოდრიმონი წიგნში „ბასკების ისტორია“, რომელიც 100 წლის წინათ გამოსცეს პარიზში, ასკვნის, რომ იბერიელები პირენეის ნახევარკუნძულზე მოვიდნენ კავკასიის იბერიიდან - საქართველოდან და თავიანთ ქვეყანას იმ ქვეყნის სახელი დაარქვეს (იბერია), საიდანაც მოვიდნენ.

ბასკოლოგი ადოლფ დორნიგი თავის წიგნში „იბერები და ეუსკარები და იბერიული ცივილიზაციის მისია წინაისტორიულ ეპოქაში“, როდესაც ბასკების სადაურობის საკითხს განიხილავს, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიულ ადგილებზე „დოსკურია“-ზე, „ისგაურ“-ზე, რაც წარმოადგენს შავი ზღვის ნავსადგურებს და საიდანაც, ა. დორნიგის აზრით, იბერიულ ტომთა ერთი ნაწილი დასავლეთისკენ წავიდა. ა.დორნიგი წერს: *„პატარა ნავსადგური სოფელ ისგაურში, რომელიც ამჟამად კოლხეთის ნაპირზე მდებარეობს, უძველეს დროში ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი სავაჭრო პუნქტი იყო“.*

ნიკო მარის ჰიპოთეზის მიხედვით, იბერიელები საქართველოდან არიან წასული. მათი მიგრაცია დასავლეთით ნავარაუდევია ორი გზით: ერთი - ზღვაზე სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მიმართულებით, მეორე - ჩრდილოეთით მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე და ევროპის სამხრეთით.

შ. მიძიგური ხაზგასმით მიუთითებს, *„საბჭოთა ქართველოლოგია აღიარებს, რომ ბასკები ქართველების მონათესავე ხალხია, ხოლო ბასკური ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახს (აკად. არნ. ჩიქობავა). ეს თვალსაზრისი შესულია, როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებში“.*

1966 წლის შემოდგომაზე, პირველად თბილისის უნივერსიტეტში (და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებში) ჩატარდა ლექციების ციკლი ბასკებისა და ბასკური ენის შესახებ. ლექციებს კითხულობდა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, ბასკოლოგ-ქართველოლოგი, იმ დროისათვის ამ ორივე დარგის ერთადერთი სპეციალისტი, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი. ამ საკითხზე მან სტატიაც გამოაქვეყნა პარიზში, სამეცნიერო ჟურნალში - „ბედი ქართლისა, რევიუ დე ქართველოლოჟი“. ამ ნომერში გაერთიანებულია ორი ტომი. XXIX და XXX ტომებში რენე



ლაფონი სტატიაში „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“ იძლევა კავკასიურ ენებთან ბასკურის კავშირის მეტად საინტერესო მაგალითებს. რენე ლაფონის ეს მესამე სტატიაა ამ საკითხზე. *„არ არის სარწმუნო, რომ ხმელთაშუა ზღვის ენები მიეკუთვნებია ენათა დიდ ოჯახს, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიიდან პირენეებამდე, რადგან ამის კვალი სადღაც უნდა დარჩენილიყო“.*

მიგრაციის შესახებ კი აღნიშნავს, რომ ბასკურის მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდებები ანტიკური ხანიდან მოყოლებული შეიმჩნეოდა სამხრეთ აღმოსავლეთსა და სამხრეთ ესპანეთში. გარდა ამისა, ესპანელმა არქეოლოგებმა ნათელი გახადეს, რომ ეგეოსის ეპოქაში აღმოსავლელ ხმელთაშუა ზღვისპირელებს გავლენა ჰქონდათ ესპანურ ლევანტზე და იბერიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე.

ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავშირებით, აკად. არნ. ჩიქობავა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წერდა:

*„ბასკური ენა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მოქცეულია ინდო-ევროპულ ენათა გარემოცვაში ესპანეთსა და საფრანგეთში, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება ინდო-ევროპულ ენათაგან არსებითი მომენტების, მიხედვით: სიტყვის (სახელის, განსაკუთრებით კი ზმნის) აგებულების და შესაბამისად - წინადადების სტრუქტურის მიხედვით. და აი, სწორედ ამ მომენტების მიხედვითაა, რომ შეინიშნება გასაოცარი დამთხვევები იბერიულ-კავკასიურ ენებთან“.*

საქართველოს შესახებ ჯოზეფ სმიტის სტატიაში ნათქვამია, რომ შესაძლებელია ბასკურიც ენათესავებოდეს ქართულს. დასაშვებია, რომ ბასკები ეთნიკურადაც „კავკასიური“ წარმომავლობის იყვნენ. თუ გავიხსენებთ, რომ რომაელები საქართველოსა და ესპანეთსაც იბერიას ეძახდნენ, საფიქრებელია, რომ ეს საერთო წარმოშობას მიუთითებდეს.

როგორც ქართულში, ისე ბასკურში, თანდებული სიტყვის ბოლოსაა. მახვილი არ იგრძნობა და გრამატიკული სქესიც არ არსებობს. ეს თავის წიგნში „ჩემი ბასკეთი“ აღნიშნული აქვს მარტინა მინტეგი ბილბაოსაც. ამავე წიგნში ის აღნიშნავს: *„ბილბაოს ფუნქციური გადაწყურებს მთას. მთას კი „არჩანდა“ ჰქვია, რადგან, როდესაც ბურუსიან ამინდში ატლანტის ოკეანიდან დაძრული ღრუბლები თავზე ტყვიასავით დააწვებიან ხოლმე, არჩანდა ნამდვილად არ ჩანს“.* გარდა ამისა ის აღნიშნავს ფაქტს

გარეგნული მსგავსებების შესახებაც და ამბობს, რომ საქართველოში მას ქართველისგან ვერ არჩევენ ხოლმე. გარდა ზემოთ აღნისნული მსგავსებებისა, ეუსკერასა და ქართულს აკავშირებს მრავალპირიანი ზმნის არსებობა. ხოლო ყველაზე მთავარი მსგავსება და, ამავე დროს, საიდუმლოება ის არის, რომ მსოფლიოში გავრცელებულ ენებს შორის მხოლოდ ქართულსა და ბასკურში არსებობს მოთხრობითი ბრუნვის, ანუ ერგატივის ფენომენი.

გარდა გარეგნული მსგავსებებისა, ბასკეთში ქართული, ანდაც, აჯობებს ვთქვათ, ქართულის მსგავსი სიტყვები გვხვდება: უკანასკნელ წლებში მკვლევარებმა ამ ორ ენას შორის დაახლოებით სამასზე მეტი ლექსიკური პარალელები გამოავლინეს. მაგალითად:

1) ბასკური „პინპირინი/პინპილინი“ – ქართულად „პეპელა“, მეგრულად „ფარფალია“, ლაზურად – „ფარფალი“, სვანურად – „პარპანდი“, წინარე ქართველურ ენებში - „პერ“ - „ფრენა“;

2) ბასკური „itsu/utsi“ – „ბრმა“, მეგრულად/ ლაზურად – „უჩა“ (შავი);

3) „გორა“, ბასკურადაც „გორას“ ნიშნავს;

4) „ბური“ ნიშნავს „დაბურულ ამინდს“;

5) „ბასკია კუთხა“ - ნიშნავს „ბასკეთის კუთხეს“;

6) ბასკურად „ასული“ ნიშნავს ქართულ „ასულს“;

7) ქართულად „ერი“ - ბასკურად „ჰერი“.

8) ბასკურში გვხვდება აგრეთვე ქართული სიტყვა „შვილიც“.

9) „ბირიბილ“ ბასკურში ნიშნავს - „ბორბალს“ ქართულში. აქ საინტერესო არა მხოლოდ მსგავსი მნიშვნელობა და ფორმაა, არამედ სიტყვის ფორმის განვითარების გზაც:

ბასკ. იბი (მცირე დინება) → იბარ (მდინარის ხეობა) → ბირიბილ (ბორბალი)

ქართ. იბონ (ტბა) → ბარი → ბორბალი

ორივე სიტყვის ევოლუციაში შეიმჩნევა სიტყვები დინების, წყლის და მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორც, ჩანს ეს სიტყვები უწყვეტ მოძრაობასთან იგივედებოდა და შესაძლოა სიტყვა-სიტყვით „წადი-წადის“ ანდაც, „მიდი-მიდის“ ნიშნავდეს.

10) „პირენეი“- ქართ „პირენეთი“. დღევანდელი ხევსურეთი, მთით, ორ ნაწილად

იყოფოდა, სადაც ერთ მხარეს „პირინეთი“ ხოლო მეორეს „პირაქეთი“ ერქვა. სავარაუდოა, რომ იბერიის ნახევარკუნზულზეც, სადაც ბასკების ქვეყანას პირენეის ქედი ორ ნაწილად ყოფს, ეს სიტყვა ორი მხარის ერთმანეთისგან გასარჩევად გამოიყენებოდა. ხოლო ასო „თ“-ს ასო „ი“-თ ჩანაცვლება დრომ გამოიწვია ( პირენეთი→პირენეი)

11) ესპ. „რიო“ (მდინარე) – ქართულში ამავე ფუძეს ვკითხულობთ მდინარე „რიონის“ სახელწოდებაში და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე სიტყვა მოღწეულია -ნი სუფიქსის დამატებით, სულაც არ აღნიშნავს, რაიმე განსხვავებას, რადგან -ნი სუფიქსი უბრალოდ ქართული ტოპონიმისთვის არის დამახასიათებელი.

ბასკური ანბანში 23 თანხმოვანია და 5 ხმოვანი, ეს ხმოვნები ზუსტად ქართული თანმიმდევრობით არის დალაგებული – ა, ე, ი, ო, უ. ასევე, ათვლის სისტემა ოცობითია, როგორც ქართულში, მაგალითად 30 – „ოც-და-ათი“ (ქართულში), ხოლო „ოდეი-ტა-ამარ“ (ბასკურში) ... (“Техника – молодёжи” 1976-05, შ.კიკნაძე, გვ.51)

კიდევ ბასკური ზმნა ძალიან ჰგავს ქართულ ზმნას, მათი წარმოების ფორმები, გვარი, კილო, პირი იდენტურია, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ისეა, როგორც ქართულში...

საერთო კავკასიური ლექსიკიდან ბასკურში ახლაც ცოცხალია სიტყვა „Batua“, რაც ნიშნავს „ენას“. ეს სიტყვა თითქმის ყველა ჩრდილო-კავკასიურ ენაში სხვასასხვა ფონეტიკური ცვლილებითაა დაცული. „მაწ“- ხუნძურში, „მატ“- დიდოურში, „მაზ“- ლაკურში, ცოტა შეცვლილია ჩერქეზულსა და აფხაზურში სადაც ამ სიტყვის ძირია ბ(ა)ზ. ანუ მაგალითად, „მაჭარულ მაწ“ ნიშნავს ხუნძურ ენას, Euskara Batua – ბასკურ ენას და ა.შ.

გვხდება ასევე ჩვენთვის კარგად ნაცნობი გვარებიც მაგალითად: მეუნარგია, ლორია, მამია, ბოკერია, ნარსია და ა.შ. (იხ.დანართი 3)

*[რამდენიმე წლის წინათ გაზეთ "თბილისის" ფურცლებზე" თავის ესპანურ შთაბეჭდილებებზე მკითხველებს ესაუბრა მწერალი როდამ ჩაჩანიძე. გიბრალტარიდან, სიერა-კარბონერას მთებს იქით, "კლდეთა უბეში შეყუჟული სოფელი ლენტეხი", იქვე გვერდით - ალ-იბერია, ნავსადგურში ესპანელი შეხვედრია, გვარად ... ბოკერია. ჩვენთან ნარსიებიც არიანო, "ჩემი გვარიც საკმაოდ გავრცელებულიაო", - უთქვამს ესპანელ ბოკერიას.]*

გვარების მსგავსებაზე ისაუბრა ასევე ესპანეთის კორტესების დეპუტატმა, ბასკთა ქვეყნის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიით

განწყობით ცნობილმა, დოქტორ მანუელ დე არანემა. რომელმაც, როგორც საპარლამენტთაშორისო კავშირის წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ჰელსინკში გამართულ სრულიად ევროპის თათბირის მომზადებაში. მოსკოველი მეგობრებისა და განსაკუთრებით ჩვენი თანამემამულის ა. კიკნაძის მეშვეობით (იგი ჯერ მიმოწერით, შემდეგ კი პირადად გაეცნო ესპანელ მკვლევარს) აქტიურად ჩაება ბასკთა და ქართველთა ნათესაობის პრობლემური საკითხების შესწავლა-გაშუქების საკითხში. მან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა შ. მიძიგურის წიგნი „ქართული ენა“, მოაწყო კონფერენცია თემაზე „იბერები და ბასკები“. სტატიაში „აქვთ თუ არა საერთო წარმოშობა ბასკურ და ქართულ ენებს?“ დოქტორი არანეგი წერს: *„არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ ფაქტმა, რომ მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა, ან პირიქით. მაგალითად: ერისთავი, ლოლუა, ნოდია, აგრეთვე მრავალრიცხოვანი გვარი, რომელთა დაბოლოებაა "ური": ხუბულური, ინაური, ოჩიაური, ოჩანდური, წიკლაური და სხვა... დიდ ინტერესს იწვევენ ტოპონიმების მონაცემები. ქართული დაბა სოფლების სახელწოდებანი გალი, ლენტეხი, ხაშური, გორი, მესტია და ბევრი სხვა თითქოს ბასკეთის რუკიდან აუღიათო, ან პირიქით, ქართულიდან ბასკურში გადაუტანიათო...“.*

იბერიული დამწერლობა ისტორიამ არ შემოინახა, მაგრამ შემორჩენილია ფრაგმენტული სახით ძველი იბერიული ლურსმნული დამწერლობის ტექსტები, რომლებიც, ოფიციალურად, დღემდე გაუშიფრავია. მათ გასაშიფრად ოც წელზე მეტი მუშაობდა ინგლისელი პროფესორი ჯეიკობ ჰარისონი, თუმცა ბევრს ვერაფერს გახდა. მას შემდეგ, XX საუკუნის 70-იან წლებში ქართველმა ინჟინერმა და მკვლევარმა შოთა ხვედელიძემ სცადა იბერიული დამწერლობის ერთ-ერთი ცნობილი არქეოლოგიური ნიმუშის ე. წ. „იბერიული ფირფიტის“ გაშიფრვა. გაშიფვრის მეთოდად მან აირჩია ძველი ქართული ანბანი და მეგრული ენა. საკითხი ფართოდ გაშუქდა მაშინდელ ქართულ და რუსულ ცენტრალურ პრესაში. აღნიშნულ გამოხმაურებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჟურნალ „Техника - молодёжи“-ის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული, შ. ხვედელიძის, სტატია. იგი აღნიშნავს, რომ მრავალი წლის განმავლობაში არაერთხელ მოუწია ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება, რის შემდეგაც, მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული

დამწერლობები. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც, რჩებოდა რამდენიმე ასო-სიმბოლო, რომელიც მისთვის უცნობი იყო, მანამ, სანამ იბერიულ დამწერლობას გადააწყდებოდა. მხოლოდ იბერიული ანბანის გაშიფრვის შემდეგ გახდა, მისთვის, ბოლომდე, გასაგები იყალთოსა და ასპინძას მონასტრების კედლის წარწერები. თავდაპირველად, ის აკვირდებოდა იბერიულ ტექსტში სასვენ ნიშნებს, შემდეგ კი ამოწერა ის ასოები, რომლებშიც მან ქართველურ ენებთან მსგავსებები აღმოაჩინა. მისთვის ნაცნობ ასოებს ის ალაგებდა უცნობ ასოებთან ერთად და ცდილობდა ერთიანად გაანალიზების საფუძველზე აღმოეჩინა უცნობი ასო და შემდეგ სიტყვის მნიშვნელობა. ის აღნიშნავს, რომ იბერიული ასოების უმრავლესობა შემობრუნებით, ანდაც დამრგვალებით აღადგინა. საბოლოოდ, როდესაც მას უკვე გაშიფრული ჰქონდა იბერიული ანბანის 36 ასო, ყურადღებით დააკვირდა კელტ-იბერულ მონეტას, სადაც ამოიკითხა სიტყვები „გუორგი“ და „იროძირი“ და მისთვის ნათელი გახდა, რომ საუბარი იყო „თეთრ გიორგიზე“. სიტყვა „იროძირი“ მეგრულად „სულ ნახეს“ ნიშნავს. როგორც აღმოჩნდა, თეთრი გიორგის ცხენს სწორედ „იროძირი“ ერქვა. ამის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ არც ისე რთული იყო იბერიულიდან ქართულ დამწერლობამდე ევოლუციის გზის დადგენა. მას ეთანხება ა.კიკნაძეც, და თვლის, რომ იბერიულ ენაზე შესრულებული წარწერის საიდუმლო სწორედ ქართველურ ენებში იმალება. სამწუხაროდ, ბატონ შოთა ხვედელიძეს არ მოჰყავს იბერიული ანბანისა და პროტო-ქართველური სიტყვების ჟღერადობის მაგალითები. რის გამოც, რთულია გადაჭრით ითქვას თუ რამდენად სწორად არის გაშიფრული იბერიული ანბანის სვეტი. („Техника - молодёжи“ შ.კიკნაძე, 1976-05, გვ.52) (იხ. დანართი 4)

ბატონი შოთა ხვედელიძე ახსენებს ასევე ამერიკელ მეცნიერ ჯოზეფ ფულს, რომელიც თვლიდა, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ძვ. წელთაღრიცხვით ბასკები ნაოსნობდნენ ამერიკაში. ინკებისა და აცტეკების წარმართული ღვათაებების სახელები, რომელთაც მოიხსენებს ტურ ჰეიერდალი, მას ეჩვენებოდა, რომ ძალიან მოგვაგონებენ თავისი ჟღერადობით ქართულ სიტყვებს: ვირაკოჩა, ბოჩიკა, სუა, გაგუა, გუგუ-მაცი და სხვა. საინტერესოა ისიც, რომ ე. წ. „წითელკანიან“ ინდიელებს სუფთად „თეთრკანიანი წვეროსანი ღვათაებები“ ჰყავდათ. (სავარაუდოდ მათ მე-15 საუკუნის ბოლომდე ანუ კოლუმბამდე თეთრკანიანი არ უნდა ჰყოლოდათ ნანახი) მაგრამ ... ბ-ნ შ. ხვედელიძის

მოსაზრებას შესაძლებელია დაემატოს ის ფაქტიც, ინდიელთა ღვთაებები: ბოჩიკა და გაგუა, არა მხოლოდ ქართულ სიტყვებს ემთხვევა, არამედ თითქმის სრულიად იდენტურია კოლხურ-იბერიული წარმართული ღვთაებებისა: ბოჩი და გაგუ.

რუსულ მითოლოგიურ ლექსიკონში ვხვდებით აგრეთვე სამხრეთ ამერიკელი ინდიელების უზენაეს ღვთაებას „ჩიმინი გაგუა“-ს. საბოლოოდ, „გაგუ-გაგუა“ უძველესი კოლხურ-იბერიული ლინგვისტურ-ფონეტიკური ფენომენია, რომელსაც ვხვდებით არა მარტო ევროპულ ბასკებში, არამედ შორეულ ამერიკაში და ოკეანიაში.

საინტერესო ცნობა მოიპოვება ასევე პრაქტიკული ექიმებისა და მეცნიერ-მუშაკთათვის განკუთვნილ ნ. სოკოლოვის წიგნში სადაც აღნიშნულია, რომ ყოველი ერის ადამიანთა სისხლი გამორკვეულია და რომ სხვადასხვა ხალხის სისხლის ჯგუფები დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში სხვადასხვაგვარად არის განაწილებული. აქ კი საინტერესო ის არის, რომ ბასკებსა და დასავლეთ საქართველოში სისხლის ერთგვაროვანი ჯგუფების არსებობაზე მსჯელობა ავტორს ერთ აბზაცში აქვს მოქცეული: "У басков – древнейшего коренного населения Пиренеев – отмечается исключительно высокая частота группы крови О. Очень низкое распространение группы крови В и высокое группы крови О обнаруживается в Западной Грузии"( გვ.99).

წერილში „სიტყვა ბასკებზე“ ა. კიკნაძე მოგვითხრობს გენეტიკის დარგში ცნობილი საბჭოთა სელექციონერის აკადემიკოსის ნ. ვავილოვის დაკვირვებებზე:

სამოც ქვეყანაში არაერთგზის მოგზაურობისას მათ არც ერთხელ არ ენახათ მოსავლის ალების ასეთი მეთოდი (ლაპარაკია ხორბლის ალების მეთოდზე ჩრდილოეთ ესპანეთში) შემდგომ მოსავლის ალების მსგავს ხერხს წააწყდნენ საქართველოში – ლეჩხუმში. აქვე იქნა აღმოჩენილი ხორბლის ენდემური ჯიში, რომელიც გენეტიკურად ყველაზე ახლოს დგას სპელტასთან (ე.ი. ესპანურთან ავტ) ამგვარად აგრონომიულად და ბოტანიკურად დადგინდა გასაოცარი კავშირი ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის, ამასთანავე თვით ობიექტი (ე.ი. ხორბალი) და აგროტექნიკა იმდენად სპეციფიური და განუმეორებელია, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ კავშირის ღრმა მნიშვნელობაზე. ამავე სიტყვებს ვხვდებით ასევე გაზეთში “Техника - молодёжи”. (იხ. დანართი 5)

ასევე მისი ყურადღება მიიქცია პატარა ჯოხებმა, რომელთაც თავთავების გადასატანად იყენებდნენ, მოსავლის მოწევის ასეთი ხერხი კი შემდეგ დასავლეთ

საქართველოში დაბა ლეჩხუმში ნახა.

*„ამრიგად, - წერს მეცნიერი, - აგრონომიულად და ბოტანიკურად მოხერხდა განსაცვიფრებელი კავშირის დადგენა ჩრდილოეთ ესპანეთსა და საქართველოს შორის“.*

სხვადასხვა მონაცემის გაანალიზების შედეგად აკად. ვავილოვი ასკვნის, რომ ჩრდილოეთ ესპანეთის ხალხი გენეტიკურად შეკავშირებულან ერთიან ოჯახში... თანამედროვე კავკასიის ხალხებთან.

გარდა იმისა, რაც ზემოთ არის აღნიშნული, გარდა იმ ჰიპოთეზებისა, რომლებიც ჩვენი და ესპანელების ნათესაობის შესახებ არის გამოთქმული უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური აღმოჩენების მსგავსება: კავკასიისა და პირენეის ნახევარკუნძულის ქვის ხანის პერიოდის ნიმუშებში, შეიმჩნევა ინვენტარის რიგი მსგავსებები. ასევე მსგავსებებია ანთროპოლოგიური მონაცემების თვალსაზრისითაც: ენგელის ცნობებით იბერები გულდაგულ მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, ამიტომ ბევრი ნიმუში შემორჩა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ხალხს გრძელი თავის ქალები, მცირე სიმაღლე (ქალი 1,46 , კაცი 1,65), დაბალ შუბლი, არწივისებური ცხვირი, გამოხატული წარბზედა რკალები, დახვეწილი ყვრიმალეები და სუსტად განვითარებული ყბები ჰქონდათ. ეს მიაწინებს რასაზე, რომელთა უკანასკნელი შთამომავლები ბასკები არიან. ის მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ბასკები სამხრეთიდან მოვიდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რენე ლაფონი გვაწვდის ცნობებს, სადაც ადასტურებს, რომ ბასკურის მსგავსი გეოგრაფიული სახელწოდებები ანტიკური ხანიდან მოყოლებული შეიმჩნეოდა სამხრეთ აღმოსავლეთსა და სამხრეთ ესპანეთში.

ცნობილი უკრაინელი ენათმეცნიერი არტიომ ივანცოვიც მიიჩნევს, რომ რამდენიმე ათასი წლის წინ, ინდოევროპელების მოსვლამდე უძველესი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ბასკების, კორსიკელებისა და ქართველების საერთო წარმომავლობაზე საუბრობდა. თუმცა უკრაინელი ლინგვისტი და ისტორიკოსი ამ თეორიას გაცილებით გლობალურად ხედავს და აცხადებს, რომ არსებობდა ერთი დიდი ქართულენოვანი ცივილიზაცია, რომელიც ევროპას, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკას მოიცავდა. უძველესი რუკებიდან ასეულობით ტოპონიმი მოჰყავს, რომელთაც ახსნა მხოლოდ ქართულ ენაზე მოეძებნება. მაგალითად:

Ustar - თეორია (ბასკ.), წერილი (ქართ.)

Ander - ანთერ - ქალი ისევე, როგორც ეს მეგრულშია (ანთერ - ადამინაი).

Chakur - ჯოღორი - ძაღლი.

ამ ჯაჭვს განაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მსგავსი სიტყვები ძველ ეგვიპტურშიც გვხვდება „ჩიგარუს“ სახით, კორსიკაზე კი „ჯუკარუს“ სახით.

მეორე მნიშვნელოვანი მაგალითი ეუსკადისა და საქართველოს კავშირის შესახებ არის ბასკებისათვის წმინდა მთა- **pico de orhi**, რომელიც ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვარზე, ოჩაგავიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. **Orhi** - ქართულად ორს ნიშნავს, მაშინ, როდესაც მთას მართლაც ორი მწვერვალი აქვს. **orhi chipia, pico de orhi**.

თუმცა, საქართველოსა და ესპანეთს შორის კავშირი უფრო ღრმა და ხანგრძლივია და ეს უფრო ცხადად 2000 წლის წინ ჩანდა - პირენეის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი ათეული ტომებით იყო დასახლებული, რომლებსაც ამკარად ქართველური დასახელება ჰქონდათ: კარეთანი (**caretani**), ლაიეთანი (**laietani**), ილერგეთი (**ilergetos**), ლობეთანი (**Lobetani**), ხაკეთანი (**Haketani**), ბასტეთანი (**Bastetani**), ტურდეთანი (**Turdetani**).

Laietani	=	Lai-eti	+	Ani
Caretani	=	Car-eti	+	Ani
Bastetani	=	Bast-eti	+	Ani
Turdetani	=	Turd-eti	+	Ani
Ceretani	=	Cer-eti	+	Ani
Authetani	=	Auth-eti	+	Ani
Haketani	=	Hak-eti	+	Ani
Edetani	=	Ed-eti	+	Ani
Lobetani	=	Lob-eti	+	Ani

(იხ. დანართი 6)

როგორც ვხედავთ, თითოეულს ორ-ორი სუფიქსი აქვს: ინდოევროპული სუფიქსი



-AN ან ქართველური წარმოშობის -ET. ქართველური წარმოშობის დაბოლოება „მიწის მფლობელობას“ აღნიშნავს და შესაბამისად, სიტყვა მიიღებს მნიშვნელობას: **ლაიეთი** - „ლაას მიწა“, კარეთი - „კარის მიწა“, ბასტეთი - „ბასტის მიწა“... ტომების დასახელება ქართულ ტოპონიმიკურ კონსტრუქციას ეთანხმება, რაც ფართოდაა გავრცელებული საქართველოშიც: **აფხაზ-ეთი**, **სვან-ეთი**, **იმერ-ეთი**, **თიან-ეთი**, **კახ-ეთი**. ხოლო ინდოევროპული წარმოშობის დაბოლოებით -AN, რაც წარმომავლობას აღნიშნავს, გამოვა, რომ **ლაიეთანი** ნიშნავს - „ლაიეთიდან“, **კარეთანი** - „კარეთიდან“ და ასე შემდეგ.

კატალონური ტომის **ლაიეთანის** დასახელება დღემდე გვხვდება ბარსელონაში, ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ქუჩის დასახელებაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა **ლაიეთში**, **ლაას ქვეყანაში** ცხოვრობს. „ლაა“ კი ძველ ქართველურ ენებში ჭაობს ნიშნავდა. რაც ყველაზე საინტერესოა კატალონია, მართლაც, ჭაობების ქვეყანაა - ჯერ მხოლოდ ბარსელონას ირგვლივ გვხვდება ჭაობები „pantano de collserola“, „pantano de vallvidrera“, „pantano de sant ponç“ ... სახელწოდება **ლაიეთი** გვხვდება ასევე იტალიაში. კარგად ცნობილი **Lazio** ადრე იწერებოდა როგორც: **Latium** → **Laietium** → **Laeti**. ეს რეგიონი მოიცავს არა მხოლოდ დედაქალაქს, არამედ დიდ ჭაობს სახელწოდებით „Paludi Pontini“.

დღევანდელი **Cerdania** – **Ceretani** - **Cereti** სედრანების ძველი მიწა იყო და ის ინტერპრეტირებულია, როგორც „**თივის ზვინი**“, რადგან „წერი“ ქართულად სწორედ „თივის ზვინს“ ნიშნავს. მართლაც, როგორც კი პირენეის გორებიდან სერდანის შიდა ფერდობებს გადავხედავთ, დავინახავთ ამ ფერდობის განუყოფელ ნაწილს - თივის ზვინებს, რომლებიც გზის ორივე მხარეს მოჩანს.

ძალიან საინტერესოა ასევე ტომ **Arauaces** (არავაკები) დასახელება, რომლებიც მადრიდის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. მათი სახელწოდება ქართველური უარყოფითი პრეფიქსით იწყება „არა“. თუ ეს ასეა, მაშინ დასახელება უნდა წავიკითხოთ როგორც /არა ვაკი/. მაშინ, სავარაუდოდ, უნდა არსებულიყო რაიმე ტომი სახელწოდებით „**ვაკი**“, რომლებიც მახლობლად უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი და მაშინ ლოგიკური ასახსნელი იქნებოდა სახელწოდება „**არა ვაკი**“. და მართლაც, მეზობლად არსებობდა ტომი **Vaccaey** (ვაკი). და დიდი ალბათობით, პრეფიქსი „-არა“ გამოიყენებოდა ამ ორი ტომის გასახსნავებლად. (იხ. დანართი 7)

**ბასტეთანი** ანუ **ბასტური** ეს არის ერთი ერთი აღნიშნული ორი სხვადასხვა სუფიქსით და მას გადავყავართ **ბასტეთში**, „**ბასტეთის მიწაზე**“. ძირის მნიშვნელობა ჯერ ბოლომდე დადგენილი არ არის თუმცა ეს სიტყვა ქართულ ლექსიკონში აღინიშნება, როგორც **ბასთი** - „**სახიზნავი**“, „**თავშესაფარი**“. ასევე საინტერესოა სიტყვა „**ბასტანელი**“, რაც რაიფელდის ლექსიკონში ნიშნავს „**უძველესს**“. საინტერესოა ისიც, რომ ბასტები გვხვდებიან მთელს ევროპაში: კორსიკის **Bastia**, ალბანეთის **Zall-bastar**, თურქული **Sivas**, ყოფილი **საბასტე**, რომლისგანაც წარმოიშვა უკრაინული სხვადასხვა **севастополь**-ები.

პლინიუმის ცნობებში ვხვდებით **ბორბილითანის** ტომებს, რაც (**Bilbilitanos**) ბილბილეთის- ბულბულის ქვეყანას ნიშნავს ქართულად.

ზოგჯერ ქართველური სუფიქსი „-ეთი“ ეთანხმება ბასკურ ძირებს, როგორც **ილერგეთი**, რაც ქართული ახსნით „**ილერგეთის მიწას**“ ნიშნავს, ხოლო ბასკურად „**მელოტს**“ და გამოდის რომ ილერგეთი **მელოტების ქვეყანა** იყო.

**ორეტანის** ტომები, თანამედროვე სირადრეალის გათხრების მახლობლად ცხოვრობდნენ, სადაც არქეოლოგიური გათხრების ადგილი „**ორეტო**“ მდებარეობს. **ორეტო** - „**ორი მიწა**“, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს არქეოლოგიური ძეგლი ორ მიწას, ორ ობიექტს შორის მდებარეობდა და ის, მართლაც, ორ ბორცვს შორის მდებარეობს, რაც ამართლებს დასახელებას - „**ორი მიწა**“.

**ტურდეთანის** ტომი, ასევე ცნობილია როგორც **ტურდული**, მიგვანიშნებს **ტურდეთის მიწაზე**. სახელწოდება ლეგენდარულ არტესს ემთხვევა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **ტურდეთი** და **თურთუსი** ერთი და იგივე დასახელებაა. ასო **T** და **S** ძალიან ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდა ბერძნულ ენაში მაგალითად ცნობილია ისეთი წყვილები, როგორც: **Tessara – Tettara**, **Talassa – Talatta**, **Glossa – Glotta**. აქედან გამომდინარე: **Tartess** შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც **Tartett** ანუ „**თართის მიწა**“. ძირი „**თართი**“ კი ქართველურ ენებში თევზის სახეობას აღნიშნავს და მომდინარეობს მითიური თართესიდან. ამავე ძირს ვხედავთ ასევე ტოპონიმებში **თართარი/თართაუსი** და მართლაც გადმოცემით ცნობილია, რომ თართაში (მდინარე ბეტისში, თანამედროვე გუადალკვივირი. Baetis - Guadalquivir) ფინიკიელების დროს, მართლაც, იყო თართი (თევზი). ადგილობრივი მეთევზეების გადმოცემით ბოლო წლებში თართის რაოდენობა მომრავლდა და ის, როგორც ჩანს, უბრუნდება მდინარეს.

ესპანეთში გავრცელებული კიდევ ერთი ტოპონიმიკური სტრუქტურა ეს არის SA+ძირი+E/ A/ O. ისევე როგორც ეს „საქართველოშია“ SA+QARTVEL+O. კონსტრუქცია აღნიშნავს ადგილს, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ესპანეთში კი მსგავსი კონსტრუქციით აგებული ყველაზე ცნობილი სახელწოდებებია **Sasamón** და **Zazuar** ორი პატარა ქალაქი Burgos-თან. **Sa+samon+e**, **Za+zuar+e** სამონი „მსუქანს“ (ებრაული) ხოლო სუარი „გამხდარს“ ნიშნავს. ქალაქი **Zaragoza** ასევე ამ კონსტრუქციით არის აგებული: **Za+ragoz+a**. ამავე სიტყვის ძირში იკითხება სიტყვა „არაგო“. **სარაგოსა** - „არაგოს მიწა“ - ეს არის არაგონის დედაქალაქი. „არაგო“, ასევე, ადგილობრივი მდინარის სახელწოდებაც არის, რაც ქართულ „არაგვთან“ შეგვიძლია გავაიგივოთ. ამავე კონსტრუქციით აგებულ სახელებს შეგვიძლია მივუმატოთ ასევე **Salamanca**-ც, **Sa+lamanc+a**. **Sa+alaman-** ალამანების მიწა, ანუ გერმანელების, უფრო ზუსტად კი, ვესტგოთების. ვესტგოთები გერმანიკული წარმოშობის ტომებია, რომლებიც პირენეის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ და მათი ცენტრი სწორედ სალამანკა იყო.

ესპანეთის ჩრდილო დასავლეთში ვხვდებით საინტერესო ქალაქ **სააგუნს (Sahagún)** და თუ მას ზემოთ მოცემული კონსტრუქციით გავშლით მაშინ დავინახავთ სიტყვას „აგუნ“ რაც, გადმოცემის თანახმად, დასავლეთ საქართველოში მდებარე ადგილის სახელწოდებას ემთხვევა-აგუნი. გარდა ამისა, აგუნი ღვინის ღმერთი იყო. სავარაუდოდ, სააგუნი ეს იყო აგუნის სათაყვანისმცემლო ადგილი. მართლაც, ღვინო სააგუნის ტიპური პროდუქტი იყო. ეს მიწა ესპანეთში მეღვინეობის აკვნად ითვლება.

ყირიმის ძველ რუკაზეც ვხვდებით ასევე ადგილს **Satarche**, **Sa+tarch+e** ანუ „თარხების მიწას“. თარხი, თარხუნი ანუ თეშუბი იყო ერთ ერთი უძველესი ღმერთი, რომელსაც საკუთარი ტამარი ჰქონდა ძველ ანატოლიაში.

ქალაქი **ტოლედო (Toledo)**, ადრე იწერებოდა როგორც **Toletum**, რაც ჰგავს ქართველურ ტოპონიმს „ტოლეთი“. სიტყვა „ტოლი“ სვანურ ენაში აღნიშნავს „ტოლს“ (მასალა). ტოლედო ესპანეთის მეტალურგიის ისტორიული დედაქალაქია. სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ხანჯლები, რომლებსაც ხშირად ტოლის დამატებით იმაგრებდნენ.

სიტყვა **Granada** ადრე იწერებოდა, როგორც **Gernata**, რაც ქართველურ „გერნეთს“ ჰგავს. „გერ(ი)“ მეგრულად „მგელს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, გრანადის პირდაპირი

თარგმანი წარმოადგენს „მგელთა ქვეყანას“ და მართლაც, ამ მთიან მხარეში მრავლად გვხვდებოდა მგლები: **Ger+n+et+i**.

ოკეანის პირას მდებარე ქალაქის კადისის (**Cadiz**) უძველესი სახელია „**კ/კადირი**“, რაც ქართულად „**მთაგრეხილს**“ ნიშნავს და, მართლაც, თანამედროვე კადისის 10 კილომეტრის მოშორებით მოჩანს მთაგრეხილი.

მსოფლიოში ძალიან ცოტაა ქართული ენის ღრმად მცოდნე ისტორიკოსი ან ენათმეცნიერი და შესაბამისად, ეს თემა, ჯერჯერობით, ფართო მასშტაბებს ვერ იძენს. გარდა ამისა, როგორც უკრაინელი მკვლევარი ამბობს: ბასკებს ნაკლებად ხიბლავთ მყარი არგუმენტებით გაჯერებული ეს თეორია. მათ არ სურთ ამ საკითხის ღრმად გამოკვლევა, რადგან ძალიან ამაყოფენ საკუთარი უნიკალურობით და არ უნდათ აღიარონ, რომ მათ მსგავსად მთელი იბერიის ნახევარკუნძული ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული. ევროპაში ინდოევროპელების, უფრო მეტად კი, რომაელების მოსვლის შემდეგ დაიკარგა თვითმყოფადობა და ამის შენარჩუნება მხოლოდ ბასკებმა შეძლეს. სწორედ ამიტომ, არ სურთ აღიარონ, რომ მათ და სხვა, ნახევარკუნძულის მაცხოვრებლებს ერთი წინაპარი შეიძლება ჰყავდეთ.

თუმცა ამის მიხედვად, როგორც ზემოთ დავინახეთ, არტიომ ივანცოვი მაინც არ გადათქვამს საკუთარ აზრს და ამტკიცებს, რომ რიგი მსგავსებები სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას. ასევე იმის დასასაბუთებლად, რომ ქართველური ტომები არა მხოლოდ ესპანეთის არამედ მთელს ევროპაში ცხოვრობდნენ, მაგალითად, მოჰყავს ბრიტანეთი. დღევანდელი ლესტერის მიდამოებში ცხოვრობდა ტომი სახელწოდებით „**ქორიელთავი**“. ეს სახელი მხოლოდ ქართულ ენაზე იხსნება: **ქორი** და **თავი** ანუ **ქორის თავიანების ტომი** და მართლაც, მათ სიმბოლიკაში ხშირად ფიგურირებდა ქორი. მეტიც, მათ მეფეს ერქვა **ქართველიოსი**. მართალია მას ჯერ არ აქვს ახსნა თუ საიდან/ როგორ მოხდა ქართველების ასეთ ფართო არეალში დასახლება, თუმცა ვარაუდობს, რომ აღნიშნული პროცესი უფრო კავკასიიდან უნდა დაწყებულიყო.

საბოლოოდ, ვიზიარებ ბატონი არტიომის ვარაუდს: ის რომ, თეთრი ფერის რასას, ევროპულ რასას უკვე დიდი ხანია ოფიციალურად „**კავკასიური რასა**“ ეწოდება, ის, რომ ევროპაში ყველაზე ძველი ხორბლისა და ვაზის ჯიშები სწორედ საქართველოში არის ნაპოვნი, ის, რომ აქ უმდიდრესი და უძველესი არქეოლოგიური მასალა აღმოაჩინეს და

ეს პროცესი კვლავ გრძელდება და კიდევ უამრავი სხვა რამ, გვაფიქრებინებს, რომ დიდი ცივილიზაციის კერა სწორედ საქართველო იყო და, რომ ყველაფერი სწორედ კავკასიიდან გავრცელდა.

## თავი IV

### IV.I პორტუგალია

საქართველოსთან, ქართველურ ენებთან, კულტურასთან მსგავსებები არა მხოლოდ ესპანეთს, არამედ პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარე სახელწიფოს - პორტუგალიასაც აქვს. ჯერ მხოლოდ სახელწოდება „პორტუგალიის“ წარმომავლობის შესახებ მრავალი ჰოპითეზაა წარმოდგენილი. ერთ ერთი მთავარი მოსაზრების თანახმად, ის წარმოიშვა ნახევარკუნძულზე არსებული ორი ქალაქის სახელწოდებიდან: **Portus** და **Cale**. ანუ ეს იყო რეგიონი, გადაჭიმული პორტოსა და გალისიას შორის. VII –VIII საუკუნეებიდან კი სახელწოდება გადასხვაფერდა როგორც **Portugal**. არსებობს ასევე ვარაუდი, რომ ამ მხარეს **Portocal** აფრიკიდან შესულმა მავრებმა უწოდეს, მას შემდეგ რაც ფორთოხლის უხვი მოსავალი იხილეს. ეს სახელი კი ძალიან გავს თავად ამ ხილის აღმნიშვნელ სიტყვა „ფორთოხალს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრების საპირისპირო ვარაუდებიც უხვად არის გამოთქმული, ის მაინც არ კარგავს აქტუალურობას. საწინააღმდეგო აზრის მქონენი მიიჩნევენ, რომ პორტუგალიას კი არ დაერქვა ხილის პატივსაცემად სახელი, არამედ პირიქით, ხილს- ქვეყნის გავლენით: მართალია არაბებმა გაავრცელეს ევროპაში ეს ხილი, მაგრამ ცნობები იუწყება, რომ არაბების შეტანილი ხილი უფრო მომწარო იყო ხოლო უკვე XV საუკუნეში სწორედ პორტუგალიელები იყვნენ, ვინც მსოფლიოს ხილის მოტკბო ვარიანტი გააცნო ინდოელი ვაჭრების დახმარებით. სწორედ ამ პერიოდიდან სხვადასხვა ენაში ხილმა დაიმკვიდრა სახელწოდება:

- 1) ფორთოხალი - საქართველოში;
- 2) portokali [πορτοκάλι] - ბერძნულში;
- 3) portocală - რუმინულში;
- 4) портокал - ბულგარულში;
- 5) portogallo / purtuelle - სამხრეთ იტალიურში;

6) burtuqal [برتقال] - არაბულში;

7) porteghal [پرتغال] - სპარსულში;

8) birtukan - ამჰარულ ენაში(სემიტური ენები).

ამგვარად, მიუხედავად იმისა,რომ შესაძლოა პორტუგალიას სულაც არ ერქვას პორტუგალია ფორთოხლის საპატივცემლოდ, მაინც სასიამოვნოა ქართულისთვის მსგავსი სიტყვის მოსმენა იმ ქვეყნის დასახელებაში, რომელიც კულტურულად და ტრადიციულად ასე ახლოს დგას ჩვენთან.

## IV.II ღვინო, მუსიკა და “Saudades”

პორტუგალიელ ხალხთან საუბრისას შევამჩნიე, რომ მათთანაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზს, ღვინოს. აღმოჩნდა რომ ყურძნის მოყვანის ტრადიცია ოდითგანვე მოსდევთ და, რომ ისინიც, ისეთივე ჭურჭელს იყენებენ ღვინის დასაყენებლად, როგორც ჩვენ. (იხ.დანართი 8)

პორტუგალიელი ხალხის მუსიკას, ისევე, როგორც ქართულს, უძველესი ტრადიციები გააჩნია. მათი მუსიკაც სხვადასხვა დღესასწაულს, მოვლენას უკავშირდება. უძველესი სიმღერებია შრომის, კალენდარული (საშობაო, საახალწლო, საგაზაფხულო), აგრეთვე საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული სიმღერები. ხალხური საკრავებიდან აქტუალურია:

სიმებიანი ჩამოსაკრავი: ვიოლა, კავაკინიუ; პორტუგალიური გიტარა, რომელიც ორი სახისაა. მისი თანხლებით სრულდება ტრადიციული სიმღერა „ფა’დუ“. სასულე: აიტა; დასატყამი: ტამბორილი, ზაზუმბა, პანდეირუ და ადუფი.

შესაძლოა ერთი მოსმენით ზემოთ ნახსენები მუსიკა მოსმენისთანავე ქართულს ვერ მივამსგავსოთ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ აშკარად შეიმჩნევა სევდა, ტკივილი, წარსული ცხოვრების მონატრება, სიყვარული - ისევე როგორც ეს ქართულ სიმღერებშია. ამისთვის პორტუგალიელებს აქვთ სიტყვა „**Saudade**“, რომლის გადათარგმნა ერთი სიტყვით შეუძლებელია. ეს არის სევდა, მაგრამ არის ბედნიერი წუთების გახსენებაც, ეს არის წუხილიც და არის მონატრებაც. ეს არის ის, რასაც ყოველი პორტუგალიელი, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მოსახლენი განიცდიან და ზუსტად **Saudade**-ს მივუსადაგებდი ქართველთა მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია ასევე ის გრამატიკული შეცდომები, რომლებსაც ჩვენც და პორტუგალიელები ერთი პრინციპით ვუშვებთ, მაგალითად:

სალაპარაკო ქართულში ხშირად ვისმენთ „**გამარჯობათ**“, რასაც ადამიანი იყენებს ზრდილობიანი ფორმით, ანდაც მრავალ ადამიანთან მისასალმებლად, რაც არასწორია. (სწორია: „გამარჯობა“ განურჩევლად ადამიანთა რიცხვისა თუ მოწიწებისა). სალაპარაკო პორტუგალიურშიც იმავე პრინციპით, ადგილობრივი იტყვის: “**Obrigados/ obrigadas**” რათა მრავლობით რიცხვში გადაუხადოს მადლობა საზოგადოებას, რაც არასწორია. (სწორია: **obrigado/ obrigada**).



## დასკვნა

ამრიგად, განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ მსოფლიოში არსებობს ორი იბერია: დასავლეთის, და აღმოსავლეთის, რომ მათ შორის არსებობს მთელი რიგი მსგავსებები, მაგრამ ამავდროულად განსხვავებებიც. ვნახეთ, რომ ეს საკითხი უძველესი დროიდან იზიდავდა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერებს და ვფიქრობ, ამ საკითხზე მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, თანაც მეტი ინიციატივით და მეტი გულმოდგინებით.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სიმწირის გამო, რთულია საბოლოო დასკვნების გამოტანა. ბასკური ენის შინაგანი ევოლუციის ეტაპები, მაინც, უცნობი რჩება და ჩვენ მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებების განხილვის საშუალება გვქვია. მიუხედავად ამ ფაქტისა, მაინც საყურადღებოა ორი იბერიის არსებობის შესახებ ფაქტი და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ისევე, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის იბერიის თანამიმართების განხილვა და აღმოჩენა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი მას შემდეგ არის და უნდა იყოს, რაც თავად ბასკების ქვეყნის წარმომადგენლის, გაბრიელ სელაიას ნაშრომებს გავეცანით, ვინც თავად იკვლევდა, ვისაც აწუხებდა საკუთარი წარმომავლობის საკითხი და იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ისინი შორეული ქვეყნიდან მოსული ხალხი არიან, როგორც თავად იხსენიებს, სადღაც სომხეთთან მდებარე ქვეყანა საქართველოდან.

მნიშვნელოვანი ფაქტია ასევე მსგავსებები პორტუგალიასთანაც და როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა პორტუგალიას სულაც არ ერქვას პორტუგალია ფორთოხლის გავლენით, მაინც სასიამოვნოა ქართულისთვის მსგავსი სიტყვის მოხმენა იმ ქვეყნის დასახელებაში, რომელიც კულტურულად და ტრადიციულად ასე ახლოს დგას ჩვენთან.

განხილულმა მასალამ გვაჩვენა, ასევე, ისიც, რომ ბასკური ენის შესახებ მთელი რიგი საკითხები დღემდე ბუნდოვანია. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ამ ენის წარმომავლობის საკითხი, ისევე, როგორც ბუნდოვანია ამ ენაზე მოლაპარაკეთა წარმოშობა. ერთადერთი რაზეც თანხმდებიან მეცნიერები არის, ის, რომ ბასკური და ქართული უნიკალური ენებია, მათ შეძლეს და მთელი ამ ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს სახე, არ დაკარგეს უნიკალურობა. თუმცა გაბრიელ სელაიას, ივანე

ჯავახიშვილისა და სხვა მკვლევარების მოსაზრებების შემდეგ, თითქოს, მეტად დარწმუნებით შეიძლება აღმოსავლეთ და დასავლეთ იბერიების ნათესაობაზე საუბარი. ნათლად შეიძლება იმის დანახვა, რომ არაერთ ადამიანს ჰქონდა ბევრი ნაკითხი, ნაფიქრი, ნაშრომი ამ საკითხის გარშემო და, როგორც ბასკი ავტორი იტოვებდა იმედად, რომ სხვა მეცნიერების, საკუთარი ნააზრევისა და მომავალი მოაზროვნების დახმარებით გადაიჭრებოდა და ამოიხსნებოდა ბასკების იდუმალება, მეც ასევე ვიტოვებ იმედს, რომ ერთ დღეს ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ტაბაღლა , ბასკებთან , "ცისკარი", 1963, N 8;
2. ი. ტაბაღლა „ბასკები: ლეგენდები და ფაქტები“ თბ. : საბჭ. საქართველო, 1979;
3. ჟან შარდენი „მოგზა ურობა ესპანეთსა და აღმო სავლეთის სხ ვა ქვეყნებში, თბ., 1975წ., გვ. 349;
4. ტ. გაბაშვილი მიმოსვლა, თბ. : საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა და სტ. 1956 წ.;
5. შ. ძიძიგური „ბასკები და ქართველები“ თბ. : საბჭ. საქართველო, 1978;
6. ც. ახვლედიანი , მ. კობეშავიძე , „ესპანური ენის ისტორია“, მედეა, თბილისი 2009;
7. გაზ. „ახ. კომუნისტი“, 19.08.72 წ.;
8. გაზ. „თბილისი“, 19.02.73 წ.;
9. გაზ. „თბილისი“, 3.04.73 წ შ. რევიშვილ ი.;
10. გაზ. „კომუნისტი“, 15.02.75 წ.;
11. გაზ. „კომუნისტი“ 15.04.75;
12. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ , 14.04.72;
13. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 28.07.72 - ი. ტაბაღლას მიმოხილვითი ხასიათის წერილი;
14. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 14.04.75;
15. გაზ. „Техника – молодёжи“ 1976-05, შ. ხვედელიძე, ა.კიკნაძე, გვ. 50-55.  
<http://zhurnalko.net/=nauka-i-tehnika/tehnika-molodezhi/1976-05--num52>
16. G.Celaya "Trilogia vasca: "Rapsodia euskara ", "Baladas y decires vascos", "Ixil", "Diputación Foral de Guipuzcoa., San Sebastián, 1984, გვ.215;
17. G.Celaya "Cantos Íberos", Ediciones Turner, 1955 წ. გვ.96  
Cantata de Isla  
Cantata de Mari;
18. G.Celaya, "Poemas Prometéicos, 1973-74;
19. G.Celaya "Origenes III", Obertura, Universidad del País Vasco 1990, გვ.202;
20. G.Celaya „Iberia Sumergida“, Hiperion, 1978 წ., გვ. 108;
21. А.Иванцов "Меж двух Иберий", Днепропетровск, Украина, 2014;
22. Н. П. Соколов "Наследственные болезни человека" (Изд .„ М ед ицина“, Москва 19

65r);

23. არტიომ ივანცოვის მასალების მიხედვით მომზადებული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი : “меж двух иберии”  
[https://www.youtube.com/watch?v=r0QrZu6\\_dS0](https://www.youtube.com/watch?v=r0QrZu6_dS0)
24. <http://gagua.ge/index.php?action=7.1&id=17&lang=geo>
25. <http://www.georoyal.ge/?MTID=6&TID=54&id=138>
26. <http://www.euskaltzaindia.eus/dok/eaeb/eoda/deiturak.pdf>
27. [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D)
28. [https://en.wikipedia.org/wiki/Portus\\_Cale](https://en.wikipedia.org/wiki/Portus_Cale)
29. [https://en.wikipedia.org/wiki/History\\_of\\_Portugal](https://en.wikipedia.org/wiki/History_of_Portugal)
30. <http://www.antimoon.com/forum/t3932.htm>
31. <https://es.wikipedia.org/wiki/Vasco>
32. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ მერი ტიტვინიძის ხელნაწერები თემაზე „ბასკებისა და ქართველების ნათესაობა“;

დანართი 1:



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.



მესკიტა- კორდობის მეჩეთი.

## დანართი 2 :



## დანართი 3.

დედამძღვრული მგერულეზში და მასკეში დადსტურებული გვარები:

==

ანთია  
ალანია  
ზარანდია  
ბერია  
ბენია  
სარია  
უბირია  
ბედია  
ლანდია  
ამარია - ამარია - [საქართველოს სიძველენი, წიგნი III]

სხვა საინტერესო გვარები:

—

ბედუა (ბედუაშვილი???) – ხაშური)  
ბიჩია - (ბიჩია???)  
ამალია (ამალია???)  
ამენია (ბენია???)  
ამარო-ერგარია  
ამია (ამიამვილი???) – ხაშური)  
ამიტია ( ჩიტია ??? – გვ. 12 [სამილახვრის დავთარი])  
აკიტურია  
არუა (არუა???, არუაშვილი???)  
არქია (არჩია???)  
ამესკუა (ამე-სკუა???) სკუა - შვილი მგერულად.  
ანაია (სანაია???)  
ბესკუა (ბეა-სკუა?? ?)  
არანია (ვარანია???)  
სელაია (სალაია???)  
ერაია (ბერაია???)  
არია (სარია, შარია???)  
იმანია (მანია???)  
გარსია (ნარსია???)  
ლამაურია (ლამაური-დუმეთი, მცხეთა???)  
მესკია (მესხია???)  
ურუზია - (არონია???)  
ზუზია ( ზუზიაშვილი – გორი, დივსი, ზურტი, კასპი, მეტეხი, მცხეთა. მარამიძე – ზუზია  
ზურია (ზურიაშვილი???)  
ზურდია (ურდია???)  
=====

მიმსგავსებული გვარები:

ამესტია  
აკიჩიბია (კიჩიბი - ბატკანი)  
არჩიური  
ავიიტია  
ავორია  
ანა-ლიზუნდის  
ავრე-გაზურია  
აია  
აიურია  
ალდარია  
ალდამის-ერგარია  
ალდამის-გოივა-სკოა  
ალბირია  
ამია  
ამჩია  
ამდია  
ამდია  
ანდრამორთუ (ანდრ(ლა)-მორთუ? )  
ანგუა  
ამჩია  
ამიტუა  
ანგუა  
ამალუა  
ამარტია  
არამეზდია  
არანდია  
არანგუა  
არანგულტია  
არანგუა  
არაია  
არეგუა  
არეგია  
არეგია  
არისტია  
ართია  
ასკუთია  
აულია  
აუსტუა  
პარბარია  
პარია  
პარუთია

ბარუა  
ბეიღია  
ბენიტუა  
ბერათუა  
ბერესია  
ბერია-ინ  
ბიკუნია  
ბიღანია  
ბიგურია  
ბულუკუა  
ბურგანია  
ბურგია  
ბუსტურია  
კამიურუა  
სიარდევია  
დემდარია  
ერგარია  
ელდუა  
ელისონდობურია  
ელუა  
ემალდია  
ემბელდია  
ენდია  
ერდოსია  
ერგუა  
ერკისია  
ერანდორენა  
ერქურთი  
ერებური  
ესამა-ბიტორია  
ესკურდია  
ესკია  
ფორურია  
გამირუა  
გარაია  
გარამენდია  
გასტეგია  
გასტელუა  
გოირია  
გონაობია

გონია  
გორტარია  
გოია  
გურანია  
გურია  
ჰერედია  
იგარტუა  
იმენდია  
ირაურია  
ისპისუა  
იტურია  
ლაბია  
ლარანია  
ლარუსია  
ლატატუა  
ლეკოია  
ლეგარია  
ლეგია  
ლეტურია  
ლიგორია  
ლურტუა  
მაკუა  
მაიტია  
მამია  
მანარია  
მაორთუა  
მასკარუა  
მაია  
მენდია  
მენდიგორია  
მენდიგურია  
მენდიგურია  
მერუა  
მილიკუა  
მიმენდია  
მირუზია

მოტილუა  
მუნგია  
მურგია  
თლუა  
ოჩია  
ოჩუა  
ოდრია  
ოლამურია  
ოლამურუა  
ოლართუა  
ოლუა  
ოპაკუა  
ორიორტუა  
ურქია/ურკია  
პერტეგორია  
პორტუა  
სალაბურია  
სატუტუა  
სუვია  
ტორანარია  
ტრამდუა  
ტროია  
უბეგია  
ულასია  
უმანდია  
უმენდია  
ურდუა  
ურიბე ერებურია  
ურიბარი-მენდია  
ურტუა  
უსტუა  
უსუა  
ბეამურგია  
ბეიტია  
ბელანდია


СРАВНИТЕЛЬНАЯ ТАБЛИЦА РАЗВИТИЯ  
ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО И ИБЕРИЙСКОГО ПИСЬМА

№ №	СОВРЕМЕННЫЙ И ЛАТИНСКИЙ	ДРЕВНЕГРУЗИНСКИЙ	МРГЛОВАნი 433 г.	ИБЕРИЙСКИЙ	РАЗВИТИЕ СТАРО-ИВЕРИЙСКОГО ПИСЬМЕННОСТИ	ЧИСЕЛНОЕ ЗНАЧЕНИЕ БУКВ	ПОВТОРЕНИЕ БУКВ В ТЕКСТЕ
1	ა a	Ⴀ	ႠႠ	Ⴀ	Ⴀ	1	54
2	ბ b	Ⴁ	Ⴁ	Ⴁ	Ⴁ	2	18
3	გ g	Ⴂ	Ⴂ	Ⴂ	Ⴂ	3	7
4	დ d	Ⴃ	Ⴃ	Ⴃ	Ⴃ	4	10
5	ე e	Ⴄ	Ⴄ	Ⴄ	Ⴄ	5	38
6	ვ v	Ⴅ	Ⴅ	Ⴅ	Ⴅ	6	12
7	ზ z	Ⴆ	Ⴆ	Ⴆ	Ⴆ	7	
8	წ c̣	Ⴇ	Ⴇ	Ⴇ	Ⴇ	8	
9	თ t	Ⴈ	Ⴈ	Ⴈ	Ⴈ	9	6
10	ი i	Ⴉ	Ⴉ	Ⴉ	Ⴉ	10	36
11	კ k	Ⴊ	Ⴊ	Ⴊ	Ⴊ	20	
12	ლ l	Ⴋ	Ⴋ	Ⴋ	Ⴋ	30	2
13	მ m	Ⴌ	Ⴌ	Ⴌ	Ⴌ	40	2
14	ნ n	Ⴍ	Ⴍ	Ⴍ	Ⴍ	50	21
15	ჯ j	Ⴎ	Ⴎ	Ⴎ	Ⴎ	60	
16	ო o	Ⴏ	Ⴏ	Ⴏ	Ⴏ	70	55
17	პ p	Ⴐ	Ⴐ	Ⴐ	Ⴐ	80	
18	ჟ ẓ	Ⴑ	Ⴑ	Ⴑ	Ⴑ	90	
19	ჩ ch	Ⴒ	Ⴒ	Ⴒ	Ⴒ	100	55
20	ს s	Ⴓ	Ⴓ	Ⴓ	Ⴓ	200	56
21	ტ ṭ	Ⴔ	Ⴔ	Ⴔ	Ⴔ	300	
22	ყ y	Ⴕ	Ⴕ	Ⴕ	Ⴕ		
23	უ u	Ⴖ	Ⴖ	Ⴖ	Ⴖ	200	33
24	ფ p̣	Ⴗ	Ⴗ	Ⴗ	Ⴗ	500	
25	ქ ḳ	Ⴘ	Ⴘ	Ⴘ	Ⴘ	600	16
26	ც c	Ⴙ	Ⴙ	Ⴙ	Ⴙ	700	11
27	ყ q	Ⴚ	Ⴚ	Ⴚ	Ⴚ	800	33
28	შ ṣ	Ⴛ	Ⴛ	Ⴛ	Ⴛ	900	7
29	ჩ c	Ⴜ	Ⴜ	Ⴜ	Ⴜ	1000	2
30	ც c	Ⴝ	Ⴝ	Ⴝ	Ⴝ	2000	2
31	ძ ẓ	Ⴞ	Ⴞ	Ⴞ	Ⴞ	3000	26
32	წ c̣	Ⴟ	Ⴟ	Ⴟ	Ⴟ	4000	16
33	ჭ č	Ⴀ	Ⴀ	Ⴀ	Ⴀ	5000	
34	ხ x	Ⴁ	Ⴁ	Ⴁ	Ⴁ	6000	8
35	ყ q	Ⴂ	Ⴂ	Ⴂ	Ⴂ	7000	
36	ჯ̣ č̣	Ⴃ	Ⴃ	Ⴃ	Ⴃ	8000	4
37	ჟ h	Ⴄ	Ⴄ	Ⴄ	Ⴄ	9000	2
38	ღ w	Ⴅ	Ⴅ	Ⴅ	Ⴅ	10000	








დაწარტი 5





გაზ. "Техника - молодёжи" შ.კვიციანი, 1976-05, გვ.50


დაწარტი 6







დანართი 8



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

Master Programme Romance Philology

Pilia Tamari

Two Iberias, Two cultures

The work for gaining the Academic Degree of  
Master in Romance Philology  
(Master of Arts in Spanish Philology)

The manager of the work: Marine Kobeshavidze  
Associate professor

Tbilisi  
2019

## **Annotation**

Since the very beginning, Iberian Peninsula has been populated by many tribes. The tribes that attract the most attention are Iberians and Basques. Depended on Iberians name the peninsula was named "Iberian Peninsula". The Basques are the only indigenous ethnic group who, despite numerous difficulties survived, not disappeared and still exist with its own and unique language and culture.

Besides Iberian Peninsula in the world there also exist Kingdom of Iberia, where our country Georgia ( Sakartvelo) is located.

The presented work, "Two Iberias, Two cultures", by Pilia Tamari, is exactly about the existing connections between Western and Eastern Iberias. In this work we find the thoughts of different scientists and public figures what makes the work more varied and interesting.